ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩინეთის ინტერესები საქართველოში და ივანიშვილი — რას ამბობს ოლიგარქის ყოფილი ადვოკატი




ხუთშაბათი, 7 სექტემბერი, 2023 | №176 (9212) | ფასი: 80 თეთრი

# „ნიკა მელია თუ ნაციონალურ მოძრაობაში დარჩება, განულდება“




ვახტანგ ძაბირაძე: „მე არ ვამბობ, რომ მელია ამომავალი ვარსკვლავია, ასეთი შეფასებისგან შორს ვარ, მაგრამ დღევანდელ ლიდერებს შორის, წონიანი ლიდერია“






ლელა ჯეჯელავა: „დღეს პოლიტიკური პარტიები საკუთარი ამომრჩევლების მძევლები არიან“

## „ოპოზიციას ვთხოვ, ნუ გექნებათ ძალიან დაბალი წარმოდგენა საკუთარ ხალხსა და საკუთარ ამომრჩეველზე“

### „გირჩი — მეტი თავისუფლება“ და „დროა“ საარჩევნო გაერთიანებას ქმნიან







### რას მოასწავებს ჟოზეპ ბორელის ვიზიტი საქართველოში?

### ევროკავშირის სასამართლომ რუს ოლიგარქებს სანქციები არ მოუხსნა







### პრემიერ-მინისტრი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პირველ ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა




### ლაგურკას ეკლესიაში ათასწლოვანი ეროვნული საგანძური დაუცველია

### ბიბისი მსოფლიო თასზე ნინიაშვილის გაბრწყინებას ელოდება




### ბრონქიტს კაკლის ნაჭუჭი შველის

როდის არის საშიში ქოშინი




1993230720223

**2** ნიკოლ ფაშინიანის მეუღლე კიევში ჩადის

**4** დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომის მესამე ეტაპი

**5** დედა და ცოლი მოძალადე პედოფილს ციხიდან გაქცევაში დაეხმარნენ

**6** პუტინმა ერდოღანის წინადადება უარყო

# „ოპოზიციას ვთხოვ, ნუ გექნებათ ძალიან დაბალი წარმოდგენა საკუთარ ხალხსა და საკუთარ ამომრჩეველზე“

## ლელა ჯეჯელავა: „დღეს პოლიტიკური პარტიები საკუთარი ამომრჩევლების მძევლები არიან“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ანალიტიკოსი ლელა ჯეჯელავა პასუხობს.



***– ქალბატონო ლელა, რა სჭირს ქართულ ოპოზიციას? ვისმენთ შეფასებებს, რომ ოპოზიცია მიზანმიმართულად უწყობს ხელს „ოცნებას“, გადაფაროს მნიშვნელოვანი თემები. „ოცნებას“ რაც უნდა, ვიცით და რა უნდა ოპოზიციასო. როგორია თქვენი შეფასებები, რატომ აიჭრა მაინცდამაინც ახლა ოპოზიცია? რა ხდება, ბოკერიას გზა ჯობია, თუ სააკაშვილის?***

– მართალი გითხრათ, მე არც ბოკერიას გზა ვიცი რას ნიშნავს და არც სააკაშვილის. მე ვიცი, რომ საქართველოს აქვს განვითარების თავისი გზა და ამ გზას უნდა მოემსახუროს, რომელიც განპირობებულია ამ ქვეყნის გეოგრაფიული მდგომარეობით, ისტორიული გამოცდილებით, გნებავთ ცივილიზაციური იდენტობით. ჩვენ აქამდე ვიცოდით რუსული გზა, თუ დასავლური გზა?! არ მეგონა, თუ ეს ასე დავიწროვდებოდა და ვიკითხავდით, ბოკერია თუ სააკაშვილი? საქართველოს ეროვნული ინტერესების გარშემოა საჭირო გაერთიანება და არა კონკრეტული პერსონების გარშემო.

***– რატომ დაერივნენ მაინცდამაინც ახლა ერთმანეთს და ახლა რატომ გახდა ხაზეიშვილი მიუღებელი, როცა თავად აირჩიეს? მასხარა და უინტელექტო და უამრავ ეპითეტს ვისმენთ მის შესამკობად. რა ხდება?***

– როდესაც პოლიტიკოსებს პერსონალურად ეხებიან, აკრიტიკებენ მის ჩაცმულობას, მის ვიზუალსა და ასე შემდეგ, ეს მიუთითებს არგუმენტირებული კრიტიკის უუნარობაზე. საერთოდ, პარტია ნაციონალური მოძრაობა რომ რთულ მდგომარეობაშია, ამას ლაპარაკი არ უნდა. ადამიანები ცდილობენ, მხოლოდ ერთი კუთხიდან შეხედონ პრობლემებს. ნაციონალური მოძრაობა არის ერთადერთი პარტია, რომელმაც ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ, დამოუკიდებელი ისტორიის პირობებში, შეძლო თვითგადარჩენა ურთულეს პირობებში. ეს ხომ ფაქტია, რომ „ქართული ოცნება“ უკვე 11 წელია საკუთარ თავს ინარჩუნებს მხოლოდ იმით, რომ ნაციონალური მოძრაობის მიმართ აწარმოებს ძალიან მძიმე და დამანგრეველ, პროპაგანდისტულ პოლიტიკას.

***– ქალბატონო ლელა, ეს ორი ძალა ერთმანეთს კვებავს და ერთმანეთი სჭირდებათ. „ოცნებას“ ნამდვილად არ უნდოდა, რომ გამქრალიყო ნაციონალური მოძრაობა?***

– იცით, რაშია საქმე, „ოცნებას“ რა აწყობდა, ეს ერთი თემაა, მაგრამ მეორე თემაა, საზოგადოების პოლიტიკური სიმწიფე. როდესაც შენ პოლიტიკურ პარტიას ირჩევ, მხოლოდ იმ მიზნით, რომ წინა არ დაბრუნდეს ხელისუფლებაში, ეს არც მარტო „ოცნების“ მანკიერებაზე მეტყველებს, არც ნაციონალური მოძრაობის, ეს არის საზოგადოების უმწიფრობა. საერთოდ, პოლიტიკაც და ყველაფერი, ზოგადად ეს არის ბიზნესი. როგორიც არის მოთხოვნა, ისეთია მიწოდება. საიდან მოვიდნენ ეს პოლიტიკოსები?! გინდა „ოცნების“, გინდა ნაციონალური მოძრაობის? ეს არის საზოგადოების მოთხოვნისა და დაკვეთის შედეგი. ამიტომ მარტო პოლიტიკოსებისკენ ხელის გაშვერა, არცერთი არ გვინდა, ეს არის საკუთარი მოქალაქეობრივი უპასუხისმგებლობის ჩვენება. არცერთი არ გინდა, მაშინ შემოგვთავაზეთ რა გინდათ.

დღეს პოლიტიკური პარტიები საკუთარი ამომრჩევლების მძევლები არიან. ნაცმოძრაობასა და „ოცნებას“ კი არა „ალტ ინფოსაც“ ჰყავს თავისი მომხმარებელი ამ ქვეყანაში. რომ არ ყოფილიყო მისი მომხმარებელი, ხომ არ გაჩნდებოდა აუცილებლობა პოლიტიკურ ბაზარზე, ამ ტიპის პარტიის შექმნის.

***– ვინც ბოკერიას გზას დაადგება, განულდებაო. რას ნიშნავს ეს?***

– მე არ ვიცი რას გულისხმობს მესამე პრეზიდენტი ბოკერიას გზაში, გარდა იმისა, რომ ბოკერია გამოეყო ნაციონალურ მოძრაობას და ცდილობს, მისგან ძალიან მკაფიოდ დისტანცირებას. სხვა რამე ასეთი განსაკუთრებული – პოლიტიკური იდეა, პოლიტიკური გზა და პოლიტიკური მიმართულება ბოკერიას არ წარმოუდგენია, გარდა იმისა, რომ მისი პოლიტიკური პარტიის წევრები თავგამოდებით ლანძღავენ ნაციონალურ მოძრაობას. ეს არ არის გზა.

***– რას იტყვით გიორგი გაბუნიას განცხადებაზე? ეს ტელევიზია რომ ნაცმოძრაობასთან ასოცირდება, ეს ხომ არ არის ახალი?***

– ვის გაუკვირდა ის, რომ „მთავარი“ არხი და თავის დროზე „რუსთავი 2“ ძალიან მჭიდროდ აფილირებული იყო ნაციონალურ მოძრაობასთან. ეს არავის გაკვირვებაა. პირველი ნაწილი, რაც გაბუნიამ გვიამბო, რომ არხი ემსახურებოდა ნაციონალური მოძრაობის ინტერესებს, ამაში არაფერი გასაკვირი და არც უკანონო არ ყოფილა. მე მართლა ვერ გავიგე, რატომ მოინდომა მერე ზოგმა იმის მტკიცება, რომ ეს ასე არ იყო. ისიც ნორმალურია, როდესაც არხის მენეჯერს აქვს თავისი შეხედულება კონკრეტულ პოლიტიკოსებთან დაკავშირებით. ამისი ასე საჯაროდ არტიკულირება რას ემსახურებოდა, ეს ალბათ გაბუნიამ იცის. თუ აქამდე ყველასთვის ცნობილი იყო, რომ არხს აფინანსებდნენ ნაცმოძრაობის მხარდამჭერები, ან მისი უშუალო წარმომადგენლები, დღეს გათავისუფლება რას ნიშნავს? ნაცმოძრაობის ახალი მენეჯმენტი უარს ამბობს არხის დაფინანსებაზე? თუ იმას ნიშნავს, რომ მე შენ დაგაფინანსებ და შენ შეგიძლია, მლანძლო უკანასკნელი სიტყვებით?! ახლა გადაწყვიტა გაბუნიამ, რომ არც მელია მოსწონს და არც ხაზეიშვილი?! მერე ეს რას ნიშნავს? არხი დადგა ტრანსფერზე? მერე ვინც დააფინანსებს, იმისი პოზიციების გამომხატველი იქნება?! ნაციონალური მოძრაობა აფინანსებს და როგორ თავისუფლდება ნაციონალური მოძრაობისგან?!

***– მაშინ რა მოხდა და რატომ დასჭირდათ ეს ყველაფერი ახლა. მართლაც ხომ არ არის ეს „ოცნების“ თამაში და თემების გადაფარვა?***

– საქართველოში არ არის მარტო არც „ოცნებაზე“ და არც ნაციონალურ მოძრაობაზე დამოკიდებული მედია. არის სხვა მედიაც, რომელსაც შეუძლია ეს კითხვები, რასაც თქვენ ახლა მეკითხებით, დაუსვას გაბუნიას და მისგან მოისმინოს პასუხები. რასაკვირველია, არის კითხვები, რომელზედაც მან უნდა გასცეს პასუხები. ნაცმოძრაობის დაფინანსების პირობებშიც კი, მთავარ არხს ჰქონდა ძალიან სერიოზული ეკონომიკური პრობლემები და ხელფასებსაც ვერ იძლეოდნენ. ახლა, თუკი მათ ეს დაფინანსებაც აღარ აქვთ, როგორ აპირებს არხი ფუნქციონირებას?! ეს ნიშნავს ორ რამეს, ან არხი ეძებს ახალ პატრონს, ან უნდა ჩაგვიზუსტონ, რომ ნაციონალური მოძრაობის მართვის პირობებში არხმა მოიპოვა თავისუფლება. თავად წამოიწყეს ეს თემა და ახლა თავადვე გასცენ პასუხი კითხვას, რა ხდება ახლა?!

***– ეს ყველაფერი ნაცმოძრაობის კიდევ ერთი გაყოფით ხომ არ დასრულდება? და წინასაარჩევნოდ ეს ძალიან ცუდი გზავნილი ხომ არ იქნება?***

– თუ ჩვენ ამოვალთ ერთადერთი რეალობიდან, რომ ახლა ქართულ ოპოზიციას აქვს ერთადერთი ამოცანა, რომ ხელისუფლებიდან გაუშვას „ქართული ოცნება“, მაშინ დიდ ოპოზიციურ პარტიას თავადვე ასე მარტივ მამრავლებად დაშლის შემთხვევაში, გაუჭირდება ამის გაკეთება. მე არ მესმის, რატომ უნდა დაიყონ ახლა და მერე ისევ ხელახლა შეერთდნენ, თუ მათი მოტივაციაა ამ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლებიდან გაშვება. „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში დატოვება ნიშნავს, მაქსიმალურად გაზარდო რისკი ამ ქვეყნის დამოუკიდებლობის დაკარგვის. მე არ მგონია, რომ ოპოზიციას ეს არ ჰქონდეს გაცნობიერებული. თუ ეს გაცნობიერებული აქვს და ამ პირობებში ისინი კვლავ ერთმანეთთან დაპირისპირებას აგრძელებენ, ეს მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ მათი მოტივაცია არ არის ამ სახელმწიფოს გადარჩენა და მათი მოტივაცია არის ბრძოლა პოლიტიკაში დარჩენისთვის, თუნდაც მეორეხარისხოვან როლზე, „ოცნების“ გავლენების ქვეშ! სხვა ახსნა ამას არ ეძებნება. ამიტომ მე კიდევ ერთხელ ვამბობ, რომ ოპოზიციურ პოლიტიკურ სპექტრს პრიორიტეტები სწორად არ აქვს დანახული. თუ ჩვენ კარგად დავაკვირდებით, ვინ ვის ესხმის თავს და მე ახლა აღარ ჩავუღრმავდები ამ საკითხს, ასევე ძალიან მკაფიოდ ჩანს, თუ ვინ არის თავშეკავებული სხვებზე თავდასხმებისაგან. ამას თუ შევხედავთ, მაშინ დასკვნების გაკეთება არ გაგვიჭირდება. ჩემი თხოვნაა ოპოზიციური სპექტრის მიმართ, ნუ გექნებათ ძალიან დაბალი წარმოდგენა საკუთარ ხალხსა და საკუთარ ამომრჩეველზე. ყველაფერი ძალიან კარგად ჩანს. შეეცადონ და საკუთარ თავს შეხედონ გარედან, როგორ გამოიყურებიან ისინი. მოტივაცია განსაზღვრავს ქმედებას.



## პრემიერ-მინისტრი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის პირველ ვიცე-პრეზიდენტს შეხვდა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პირველ ვიცე-პრეზიდენტს იურგენ რიგტერინკს შეხვდა.

შეხვედრაზე საუბარი საქართველოში EBRD-ის მხარდაჭერით მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებს შეეხო.

მთავრობის მეთაურმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ვიცე-პრეზიდენტს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. აღინიშნა, რომ EBRD-ი სათანადოდ რეაგირებს დასახულ სტრატეგიულ მიმართულებებზე, რაც მნიშვნელოვანი რეფორმების განხორციელების საშუალებას იძლევა.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ EBRD-ის პორტფელი საქართველოში შეადგენს დაახლოებით 5 მილიარდ ევროს 287 პროექტში. ამ ინვესტიციების 82% კერძო სექტორშია.

მთავრობის მეთაურმა EBRD-ის ვიცე-პრეზიდენტს საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე ტენდენციები გააცნო. აღინიშნა, რომ რეგიონში არსებული რთული ვითარების მიუხედავად, საქართველო ინარჩუნებს სტაბილურად მზარდ ეკონომიკურ მაჩვენებლებს.

შეხვედრაზე განიხილეს ტრანსპორტისა და ლოგისტიკის მიმართულებით საქართველოში მიმდინარე და დაგეგმილი სტრუქტურული რეფორმები და მსხვილი საინვესტიციო პროექტების მიმდინარეობა. კერძოდ, შუა სატრანსპორტო დერეფნის პოტენციალი, საქართველოს მთავრობის ხედვა შავი ზღვის საპორტო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, მათ შორის, თბილისის ახალი საერთაშორისო აეროპორტისა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის პროექტებზე.

იმსჯელეს ენერგეტიკული უსაფრთხოების საკითხებზე და აღნიშნულ სფეროში საინვესტიციო შესაძლებლობებზე. საუბარი შეეხო საქართველოს ენერგეტიკულ პოტენციალს და განახლებადი წყაროების სფეროში ინვესტიციების განხორციელების მნიშვნელობას.

## ნიკოლ ფაშინიანის მეუღლე კიევში ჩადის



სომხეთის პრემიერ-მინისტრის, ნიკოლ ფაშინიანის მეუღლე, ანა ჰაკობიანი, დღეს კიევში უკრაინის პირველი ლედის, ოლენა ზელენსკას ინიციატივით გასამართ ყოველწლიურ სამიტში მიიღებს მონაწილეობას. ინფორმაციას „რადიო თავისუფლების“ სომხეთის ბიურო ავრცელებს.

სომხეთის ლიდერის მეუღლის მონაწილეობის შესახებ ინფორმაცია სამიტის ვებგვერდზე ქვეყნდება.

ღონისძიების მონაწილეებს სიტყვით მიესალმება უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმირ ზელენსკი.

წლევანდელ სამიტს ესწრებიან დიდი ბრიტანეთის, იაპონიის, თურქეთის, ესპანეთის, ჩეხეთის, დანიის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების ლიდერების მეუღლეები, ევროკავშირის მაღალი თანამდებობის პირები, ცნობილი ჟურნალისტები და მსახიობები.

წლევანდელი სამიტის თემა ფსიქიკური ჯანმრთელობაა, გაიმართება პანელური დისკუსიები.

გარდა ამისა, სომხეთმა უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ პირველად გაგზავნა ჰუმანიტარული დახმარება უკრაინაში. სავარაუდოდ, ანა ჰაკობიანი ამ დახმარებას კიევს დღეს გადასცემს.

ISSN 1987-9385

ახალი თაობა

გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი

რედაქტორი – ლალი ახლაძიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

დირექტორი – ზურაბ ბერიძე

სარეკლამო სამსახური – 599-532-690

გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge

ელ-ფოსტა: axtaoba@gmail.com

ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნიკა მელია თუ ნაციონალურ მოძრაობაში დარჩება, განულდება“

ნათია ხურცილავა

## ვახტანგ ძაბირაძე: „მე არ ვამბობ, რომ მელია ამომავალი ვარსკვლავია, ასეთი შეფასებისგან შორს ვარ, მაგრამ დღევანდელ ლიდერებს შორის, წონიანი ლიდერია“

პოლიტოლოგი ვახტანგ ძაბირაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

*– ბატონო ვახტანგ, მიხეილ სააკაშვილმა წერილი გამოაქვეყნა, სადაც განაცხადა, ვინც ბოკერიას გზას დაადგება, განულდება და დაამთავრებს, როგორც ბოკერია. როგორ ფიქრობთ, რა ხდება ნაციონალურ მოძრაობაში?*

– პროცესს, რომელიც ნაციონალურ მოძრაობაში დაიწყო, ხაბეიშვილის არჩევითა და მელიას გადარჩევით, სწორედ ასეთი ფინალი უნდა ჰქონოდა. სხვაგვარად შეუძლებელი იყო. ეს არის პარტიის მორიგ ჯერზე გაყოფის პროცესი. როგორც ჩანს, დადგა ის დრო, როდესაც გადაწყვეტილება უნდა მიიღოს ნიკა მელიამ პარტიის დატოვების შესახებ.

თავის დროზე ვარაუდი გამოვთქვი, რომ პარტიაში შეიძლებოდა რიგგარეშე არჩევნები ჩანიშნულიყო, მას შემდეგ, რაც ყველამ ღიად გამოთქვა ხაბეიშვილის მისამართით უკმაყოფილება და მელიას თავმჯდომარის პოზიცია დაებრუნებინა, მაგრამ ჩემი ვარაუდი არ გამართლდა. ხაბეიშვილი ჯერ პოზიციებს ინარჩუნებს.

დაპირისპირება იმ დონეზეა მისული, რომ ძალიან გაუჭირდებათ პარტიის ერთიანობის შენარჩუნება. დღევანდელი მდგომარეობით ეს თითქმის შეუძლებლია. თავისი განცხადებით სააკაშვილი ცდილობს, გააფრთხილოს მელია, რომ ეს ნაბიჯი არ გადადგას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბოკერიას ბედს გაიზიარებს. სიმართლე გითხრათ, მე ასე სულაც არ მგონია. ნიკა მელია თუ ნაციონალურ მოძრაობაში დარჩება, უფრო განულდება, ვიდრე დამოუკიდებლად გასული. დღეს მელია ნაცების პოლიტიკური თამაშიდან საერთოდ იგნორირებულია.

*– პარტიაში პოზიციებს ვერასდროს დაიბრუნებს?*

– არათუ ვერ დაიბრუნებს, 2024 წლის საპარლამენტო სიაში მელიას გუნდიდან 50-ე კანდიდატადაც არავინ ჩასვამს.

რაც შეეხება სააკაშვილის ნათქვამს, ვინც წავა, ბოკერიასავით განულდება, სიმართლე გითხრათ, „ევროპულ საქართველოს“ ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან კარგი

> **„ევროპულ საქართველოს“ ოპოზიციურ ფლანგზე ძალიან კარგი პოზიციები ჰქონდა. შეეძლო, ერთ-ერთი ძლიერი ოპოზიციური პარტია ყოფილიყო, რომ არა უგულავას ჩასვლა კიევში სააკაშვილთან და 2020 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ვაშაძისთვის მხარდაჭერა.“**

პოზიციები ჰქონდა. შეეძლოთ, ერთ-ერთი ძლიერი ოპოზიციური პარტია ყოფილიყო, რომ არა უგულავას ჩასვლა კიევში სააკაშვილთან და 2020 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში ვაშაძისთვის მხარდაჭერა. ისევ ნაცებში აღმოჩნდნენ. ამომრჩეველმა კვლავ ერთიანად აღიქვა. ეს იყო შეცდომა. პოლიტიკური შეცდომა. სხვაგვარი ლავირება შეეძლოთ. თუმცა, ეს უკვე წარსულია.

*– თქვენ თქვით, რომ დღეს პარტიის ერთიანობის შენარჩუნება შეუძლებლია. თუმცა, სააკაშვილი ცდილობს. შეძლებს?*

– ახალი ლიდერი უნდა გამოჩნდეს. ხაბეიშვილი ამას არათუ შეძლებს, პირიქით, კიდევ უფრო გააღრმავებს ამ პროცესს.

*– ახალი ლიდერი შეიძლება ნიკა გვარამია იყოს?*

– ნამდვილად არ არის გამორიცხული. გვარამიას შეუძლია ბალანსის შენარჩუნება და ორივე მხარესთან მოლაპარკება. ერთადერთი ფიგურა, ვისაც ეს შეუძლია, მხოლოდ გვარამიაა. მე სხვა ასეთი ფიგურა, უბრალოდ, არ მეგულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ნაცების გაყოფა გარდაუვალია.

*– ნიკა მელია თუ დამოუკიდებლად დაიწყებს პოლიტიკური გუნდის შექმნას, როგორი შანსები აქვს, ბარიერს გადალახავს?*

– ჩემი ვარაუდით, გადალახავს. 5-პროცენტიანი ბარიერი, მიუხედავად იმისა, რომ მაღალია, არ უნდა გაუჭირდეს მისი გადალახვა. მელია პერსპექტიული პოლიტიკოსია, ამისთვის გარემოც ხელს უწყობს და კარგი გუნდის ფორმირებაც შეუძლია.

*– ლიდერობა შეუძლია?*

– მე არ ვამბობ, რომ მელია ამომავალი ვარსკვლავია, ასეთი შეფასებისგან შორს ვარ, მაგრამ დღევანდელ ლიდერებს შორის, მელია წონიანი ლიდერია და ამას ვამბობ არა მხოლოდ ოპოზიციურ ფლანგზე, არამედ მთელ პოლიტიკურ სპექტრში. მელია სხვა ტიპის ლიდერია. მელიას აქვს ქარიზმა,



რომელიც ბევრს არ აქვს. შეუძლია ხალხთან მისვლა და საუბარი.

რაც შეეხება გვარამას, ვფიქრობ, თუ მას პოლიტიკაში უნდა დაბრუნება, ამისათვის ახლა ყველაზე ხელსაყრელი დროა.

*– ნაციონალურ მოძარობასთან თუ დამოუკიდებლად?*

– დამოუკიდებელი პოლიტიკური პარტიის შექმნა გაუჭირდება. პარტიის შექმნა კი არ გაუჭირდება, მაღალი საარჩევნო ბარიერის გადალახვა გაუჭირდება. ნაციონალურ მოძარობაში კი შეუძლია, თავისი წვლილი შეიტანოს პარტიის გადარჩენაში.

მელიასგან განსხვავებით, გვარამია არ არის ისეთი ქარიზმატული. შეიძლება უფრო მეტი გამოცდილება ჰქონდეს, როგორც ხელისუფლებაში ყოფნის, ჟურნალისტიკაში ყოფნის, მაგრამ სიხისტე და ეპატაჟურობა სახალხო პოლიტიკას აშორებს.

## ჩინეთის ინტერესები საქართველოში და ივანიშვილი – რას ამბობს ოლიგარქის ყოფილი ადვოკატი



საქართველო-ჩინეთის სტრატეგიული პარტნიორობა – ბიძინა ივანიშვილის ყოფილი ადვოკატი ვიქტორ ყიფიანი ამბობს, რომ ამ საკითხზე და ზოგადად, ქვეყნის საგარეო კურსთან დაკავშირებით ოლიგარქთან საუბრები არ ჰქონია.

ყიფიანის თქმით, ჩინური უსაფრთხოების ინიციატივის არსი დასავლეთთან ჭიდილში შესვლაა.

იურისტი და ექსპერტი ასევე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ რეგიონში ჩინეთის ხმა არის და პროგნოზირებს, რომ დროთა განმავლობაში უფრო მეტად იქნება.

მისი თქმით, ჩინეთის ფაქტორი ქართული დიპლომატიის მხრიდან უნდა გახდეს ერთგვარი საპირწონე რუსეთის ფაქტორის მიმართ.

– საჭირო წყაროებზე დაყრდნობით, ჩვენ ვიცით, რა არის გლობალური ჩინური უსაფრთხოების ინიციატივის არსი. ეს არის დასავლეთთან ჭიდილში შესვლა. მოდით ასე რბილად ვთქვათ და გარკვეულწილად მათი გავლენების შემცირება, მაგრამ თუ შევთანხმდებით იმაზეც, რომ რეგიონში ჩინეთის ხმა არის და დროთა განმავლობაში უფრო მეტად იქნება. სწორედ ამოცანაც ამაში არის, რომ რამდენად შესაძლებელია, თუ არის შესაძლებელი, ჩვენი დასავლური კურსი რამენაირად თანმხვედრი გავხადოთ, რამდენად შეიძლება ჩვენ ჩინური ფაქტორი გამოვიყენოთ, როგორც ერთგვარი საპირწონე რუსეთის ფაქტორის მიმართ, ეს, რა თქმა უნდა, ქართული დიპლომატიისა და ქართველი პოლიტიკოსების ერთ-ერთი ამოცანა იქნება. ჩვენ საგარეო კურსთან დაკავშირებით ბატონ ბიძინასთან საუბრები არ გვქონია, – ამბობს ვიქტორ ყიფიანი.

ეს საკითხი დღის წესრიგში მას შემდეგ დადგა, რაც პრემიერმა ღარიბაშვილმა ჩინეთში ვიზიტის შემდეგ ქვეყანა საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორად გამოაცხადა. დასავლეთი და ამერიკა ამ პროცესს ეჭვის თვალით უყურებენ და საფრთხეებზე საუბრობენ.

## „გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ საარჩევნო გაერთიანებას ქმნიან



„გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ საარჩევნო გაერთიანებას ქმნიან.

მათი თქმით, აერთიანებთ:

ნულოვანი თანამშრომლობა რუსულ რეჟიმთან;

მომავლის მკაფიო ხედვა;

მოტივაცია, შეცვალონ საბჭოთა, ერთპარტიული სისტემა თანამედროვე, დასავლური ტიპის, კოალიციური მმართველობით.

„ჩვენ ვქმნით ნორმალურ არჩევანს საქართველოს მოქალაქეებისთვის, – აცხადებენ ისინი.

გირჩი – მეტი თავისუფლება“ და „დროა“ აქამდე „სტრატეგია აღმაშენებელთან“ ერთად თანამშრომლობდნენ. „სტრატეგია აღმაშენებელი“ საარჩევნოდ ნაციონალურ მოძრაობასთან გაერთიანდა.

## რუმინეთი: „ვადასტურებთ, რომ რუსული დრონის ნაწილები ჩვენს მიწაზე დაეცა“



რუმინეთის თავდაცვის მინისტრმა, ანგელ ტილვარმა დაადასტურა, რომ რუსული უპილოტო თვითმფრინავის ნაწილები რუმინეთის ტერიტორიაზე დაეცა მას შემდეგ, რაც მან დაარტყა უკრაინის პორტს მდინარე დუნაიზე. დუნაი გადის ორ ქვეყანას შორის საზღვრის გასწვრივ.

უკრაინამ ორშაბათს განაცხადა, რომ რუსული დრონები აფეთქდნენ ნატოს წევრი რუმინეთის ტერიტორიაზე, თუმცა, მაშინ თავდაცვის სამინისტრომ აღნიშნული ინფორმაცია უარყო.

ბოლო კვირების განმავლობაში უკრაინის დუნაის პორტები მძიმე რუსული დაბომბვის ქვეშ მოექცა, რადგან მოსკოვი მიზნად ისახავს უკრაინის მარცვლეულის საწყობებსა და ინფრასტრუქტურას. ბევრი თავდასხმა მოხდა NATO-ს წევრი რუმინეთის საზღვართან.

რუმინეთის თავდაცვის სამინისტრომ დაგმო თავდასხმა ამ კვირის დასაწყისში და მას უწოდა „გაუმართლებელი და ღრმა წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის წესებთან“.

ცნობისთვის, 6 სექტემბრის ღამეს რუსეთმა დრონებით იერიში მიიტანა ოდესის ოლქის იზმაილის რაიონზე, რომელიც მდინარე დუნაიზე მდებარეობს. რეგიონალური სახელმწიფო ადმინისტრაციის უფროსის, ოლეგ კიპერის განცხადებით, დაილუპა სასოფლო-სამეურნეო საწარმოს თანამშრომელი.

## ევროკავშირის სასამართლომ რუს ოლიგარქებს სანქციები არ მოუხსნა




ევროკავშირის სასამართლომ არ დააკმაყოფილა რუსი ოლიგარქების, ტიმჩენკოს, გუცერიევის, პუმპიანსკისა და ხუდავერდიანის საჩივრები სანქციების მოხსნაზე.

Bloomberg-ის ინფორმაციით, ლუქსემბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა TMK-ს ს ყოფილი მფლობელის, დიმიტრი პუმპიანსკისა და საინვესტიციო კომპანია Volga Group-ის მფლობელის, გენადი ტიმჩენკოს საჩივრები.

რუსული პროპაგანდისტული მედიის, Ria Novosti-ის თანახმად, სანქციების მოხსნას ვერც Safmar Group-ის დამფუძნებელმა, მიხაელ გუცერიევმა და Yandex-ის ყოფილმა მმართველმა დირექტორმა, ტიგრან ხუდავერდიანმა მიაღწიეს.

ევროკავშირის სასამართლოს ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული გადაწყვეტილების თანახმად, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენ პუმპიანსკს „პირდაპირი როლი არ უთამაშია უკრაინაში სამხედრო შეჭრაში“, ის ჩართულია ეკონომიკის, ნავთობისა და გაზის სექტორებში, რაც რუსეთის მთავრობისთვის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს.

სასამართლომ დაადგინა, რომ პუმპიანსკისა და მისი მეუღლის სანქციების სიაში შეყვანა გამართლებული იყო და არ არღვევდა მათ ფუნდამენტურ უფლებებს.

## უკრაინის პარლამენტმა თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე რუსტემ უმეროვი დაამტკიცა

უკრაინის რადამ თავდაცვის ახალ მინისტრად რუსტემ უმეროვის დანიშვნას მხარი დაუჭირა. დეპუტატმა იაროსლავ ჟელეზნიაკმა Telegram-ზე განაცხადა, უმეროვმა პარლამენტის აბსოლუტური მხარდაჭერა დაიმსახურა.

რუსტემ უმეროვი არის ყირიმელი თათარი, რომელიც მანამდე სახელმწიფო ქონების ფონდის თავმჯდომარე იყო, რომლის მისიაც უკრაინაში ინვესტიციების მოზიდვაა.

მან თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე ალექსი რეზნიკოვი ჩაანაცვლა, რომლის გადადგომის შესახებ ინფორმაცია 4 სექტემბერს, თითქმის 2-წლიანი მოღვაწეობის შემდეგ გახდა ცნობილი.

# რას მოასწავებს ჟოზეფ ბორელის ვიზიტი საქართველოში?

მარიამ მჭედლიშვილი



ევროკავშირის დიპლომატიის მეთაურის, ჟოზეფ ბორელის ვიზიტი (7-8 სექტემბერს) საქართველოში მიმდინარეობს იმ ფონზე, როცა წყდება საქართველოს ევროკავშირში წევრობის კანდიდატობის საკითხი, გეოპოლიტიკური დაპირისპირება კი გაღრმავებულია.

ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ევროკავშირის გაფართოება დაჩქარდება, რაც გამოწვეულია „ბრიქსის" გაფართოებით. ცნობილია, რომ მიღებულია გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ „ბრიქსს" კიდევ 6 სახელმწიფო უერთდება.

საქართველო ელის ევროკავშირისგან პასუხს კანდიდატობაზე იმ პირობებში, როცა საქართველოს პრეზიდენტის მიმართ დაწყებულია იმპიჩმენტის პროცედურა. იმპიჩმენტისთვის საპარლამენტო უმრავლესობას ხმები არ ჰყოფნის. მიუხედავად ამისა, პრეზიდენტის საწინააღმდეგო კამპანია გაჩაღებულია. ამის საბაბი, როგორც პირდაპირი, ისე ირიბი მნიშვნელობით, ქვეყნის ევროინტეგრაცია გახდა.

„ქართული ოცნების" ლიდერები პრეზიდენტს კონსტიტუციის დარღვევას ედავებიან. პრეზიდენტი, მართლაც, მთავრობის ნებართვის გარეშე გაემგზავრა ევროპაში ევროინტეგრაციისათვის მხარდაჭერის მოსაპოვებლად. ეს მას კონსტიტუციის დარღვევად ჩაუთვალეს (განაჩენს საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლო გამოიტანს). გარდა ამისა, სალომე ზურაბიშვილს მმართველი პარტია ევროინტეგრაციის დამაზიანებელ განცხადებებში სდებს ბრალს. „ოცნებისა" და „ხალხის ძალის" წევრები ირწმუნებიან, რომ სალომე ზურაბიშვილმა განაცხადა, საქართველომ კანდიდატის სტატუსი დამსახურებულად არ მიიღოო.

### „ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს"

ბრალდებები პრეზიდენტის მიმართ „ქართული ოცნების" თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ ბორელის ჩამოსვლამდე ორი დღით ადრეც გაახმოვანა. მან პრეზიდენტი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობა ერთ სიბრტყეში დააყენა.

– სალომე ზურაბიშვილსა და რადიკალურ ოპოზიციას ერთი და იგივე დღის წესრიგი აქვთ. მათი რიტორიკა ერთიერთში ემთხვევა ერთმანეთს... ისინი ერთნაირი ინტერესებით მოქმედებენ. მათ საერთო პატრონი ჰყავთ. ეს არის „გლობალური ომის პარტია". ისინი ყველაფერს აკეთებენ, რომ საქართველოს კანდიდატის სტატუსი არ მიენიჭოს. თუ მაინც მიენიჭება ქვეყანას კანდიდატის სტატუსი, სალომე ზურაბიშვილი მაქსიმალურად ეცდება, თავის თავზე მიიწეროს ეს გადაწყვეტილება.

პრეზიდენტის საპრალენტო მდივანი გიორგი მსხილაძე ვარაუდობს, რომ იმპიჩმენტის დაწყების მიზანია პრეზიდენტის აქტივობის შეზღუდვა ან მისი პოლიტიკურად შევიწროება.

– საქართველოს პრეზიდენტი ასრულებს თავის უმაღლეს ვალდებულებას. .პრეზიდენტი ასრულებს იმ საარჩევნო დაპირებას, რომლის ქვაკუთხედიც იყო ქვეყნის ევროკავშირში და ნატოში გაწევრიანება, – აღნიშნა პრეზიდენტის საპარლამენტო მდივანმა.

### ევროკავშირის გაფართოება რეალობაა?

სალომე ზურაბიშვილის ევროპაში ჩასვლამდე საყურადღებო განცხადება გააკეთა ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა შარლ მიშელმა.

– ევროკავშირის გაფართოება აღარ არის ოცნება. მზად უნდა ვიყოთ 2030 წლისთვის გაფართოებისთვის... ევროკავშირის ლიდერები განიხილავენ გაფართოებას საბჭოს მომავალ სხდომებზე... ჩვენი ამოცანაა, უკრაინასა და მოლდოვასთან მოლაპარაკებების დაწყება. ასევე ველოდები, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინასა და საქართველოს საკითხიც დაბრუნდება მოლაპარაკებათა მაგიდასთან.

ამ განცხადებამ საქართველოში ოპტიმიზმი ყველას არ გაუჩინა. ზოგიერთმა ანალიტიკოსმა ჩათვალა, რომ 2030 წლისთვის ევროკავშირში საქართველოს გაწევრიანება ვერ მოხდება, გაფართოება დანარჩენ ქვეყნებს ეხება.

მმართველი პარტიის ლიდერების შეფასებით, ეს განცხადება ზოგადია. მათ იმედი გამოთქვეს, რომ ევროკავშირი მომავალში დაკონკრეტდება. ირაკლი კობახიძემ კი აღნიშნა, რომ „2030 წლისთვის საქართველო ყველაზე მეტად იქნება მზად იმისათვის, რომ ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდეს".

წევრობამდე ქვეყანამ ჯერ კანდიდატის სტატუსი უნდა მიიღოს. ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენლის, ჟოზეფ ბორელის ვიზიტი საქართველოში თავისთავად მნიშვნელოვანია და წესით, იმის მომასწავებელი უნდა იყოს, რომ ქვეყანას წლის ბოლოსთვის კანდიდატის სტატუსს მიანიჭებენ და წევრობასაც ახლო მომავალში მოვესწრებით.

როგორც ჩანს, ევროკავშირის გაფართოება ნამდვილად დაჩქარდება. ეს არ აწყობს რუსეთს, რომელიც პოსტსაბჭოთა სივრცეს ისევ ეპოტინება. კრემლის მომხრე რუსი ანალიტიკოსები ევროკავშირის გაფართოების პერსპექტივას გესლიანად ეხმაურებიან. მათი სიტყვებით, საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის შესვლის საკითხი ევროკავშირში მითოლოგიზირებულია, ვინაიდან ამ ქვეყნების მომავალი ცნობილი არ არის.

### კანდიდატის სტატუსისთვის ბრძოლაში საქართველოს მოქალაქეები ერთვებიან

საქართველოს მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სურვილი აქვს, რომ საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი, მანამდე – კანდიდატი ქვეყანა. მოქალაქეებს ამ მიმართულებით აქტივობებისკენ იწვევენ. ყოფილმა იმბუდსმენმა ნინო ლომჯარიამ დააფუძნა საზოგადოებრივი პლატფორმა „საქართველოს ევროპული ორბიტა".

მისი განმარტებით, პლატფორმის მიზანია, მოქალაქეებს მისცეს შესაძლებლობა, ჩამოყალიბონ ხედვები ქვეყნის მომავალზე. ახლანდელი აქტივობა, საზოგადოების ენერგია უნდა მოხმარდეს კანდიდატის სტატუსის მოპოვებას.

საზოგადოებას ევროინტეგრაციის სურვილი გამოხატული აქვს, ამ მიმართულებით აქტივობაც სასურველია, განსაკუთრებით მაშინ, როცა ქვეყანაში რუსული პროპაგანდა მძლავრობს და კრემლის პროპაგანდისტები ხალხს ისევ არწმუნებენ, რომ დასავლეთი საქართველოს მეორე ფრონტის გახსნას აიძულებს.

## საზოგადოება

# ლაგურკას ეკლესიაში ათასწლოვანი ეროვნული საგანძური დაუცველია



დეკანოზ ილია ჭილღაძის ინფორმაციით, სვანეთში, ლაგურკას ეკლესიაში ათასწლოვანი ეროვნული საგანძური საფრთხეშია:

– დაუცველად, შიშვლად, მოუვლელად აწყვია ათასწლოვანი ეროვნული საგანძური – ოქროსა და ვერცხლის ჯვარ-ხატები ლაგურკას ეკლესიაში. სჭირდებათ კვალიფიციური რესტავრაცია და დამცავი ვიტრინების ჯეროვნად მოწყობა, რადგან ის ვიტრინები, რაც არის, არ ჰყოფნის არსებული საგანძურის რაოდენობას და ნაწილი ვიტრინებშია, ნაწილი მიყუდებულია კედლებზე შიშვლად დაუცველი.

იგივე ხდება სვანეთის ბევრ ეკლესიაში, განსაკუთრებით საგანგაშოა, მაგალითად, ასევე წვრიმის ეკლესიაში ჯვარ-ხატების მდგომარეობა.

მოუწყობელი, მიყრილ-მოყრილი, მტვერში, ნესტში, დაზიანებულები და დაუცველები. დაცვაში არ ვგულისხმობ იმას, რომ კარლიაშია, ყველა ეს ტაძარი ჩაკეტილია და ზოგ ტაძარს მუდმივი დაცვაც ჰყავს, მაგრამ ეს არ კმარა: საჭიროა რესტავრაცია, მოწესრიგება, გასუფთავება, დამცავი ვიტრინები და კლიმატკონტროლის მოწყობა, ანუ ელემენტარული ძეგლთა დაცვითი ღონისძიებების გატარება უმაქნისი სახელმწიფოსა და უვარგისი საპატრიარქოს მიერ.

# სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერი" საუკეთესო 10 ფილმს შორის დასახელდა



რეჟისორ სერგო ფარაჯანოვის ლეგენდარული ფილმი „ბროწეულის ფერი" გუგლ ნიუსმა ყველა დროის 10 საუკეთესო ვიზუალურ ფილმს შორის დაასახელა. სტატიის ფოტოდაც ამავე ფილმიდან სოფიკო ჭიაურელის კადრი შეირჩა.

საუკეთესო 10 ფილმში გაერთიანდა ალფრედ ჰიჩკოკის, სტენლი კუბრიკის, დარიო არჯენტონოს ფილმები.

სერგო ფარაჯანოვის „ბროწეულის ფერი" თბილისელი აშული პოეტის საიათნოვას ბიოგრაფიაზეა. მასში სოფიკო ჭიაურელი 6 სხვადასხვა როლს ასრულებს. ფილმში ასევე მონაწილეობენ გოგი გეგეჭკორი, სპარტაკ ბაღაშვილი, მედეა ჯაფარიძე...

ლეგენდარულმა რეჟისორებმა ჟან-ლიუკ გორადმა და მიქელანჯელო ანტონიონიმ სერგო ფარაჯანოვის ფილმი XX საუკუნის შედევრად აღიარეს.

# ნინო ნადირაძე და გიორგი ჩიჩუა ერთობლივ გადაცემას წაიყვანენ



„იმუნიტეტი" – ასე ეწოდება ახალ გადაცემას, რომელსაც ტელეკომპანია „იმედი" მაყურებელს ახალ სატელევიზიო სეზონზე შესთავაზებს.

სამედიცინო გადაცემის წამყვანები ნინო ნადირაძე და გიორგი ჩიჩუა იქნებიან. ისინი სტუმრად მოიწვევენ საინტერესო ადამიანებს, პაციენტებს რეალური ისტორიებით და სამედიცინო რჩევებსაც უხვად გასცემენ.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

# დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომის მესამე ეტაპი



2022 წელს პუტინის რუსეთი თავს დაესხა უკრაინას და დაიწყო რუსეთ-უკრაინის ომი. დღეისათვის ეს ომი შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ:

1. ჰეროიკული ეტაპი. ის მოიცავს ომის პირველ წელს. რუსულმა აგრესიამ უკრაინაში პატრიოტული ბუმი გამოიწვია. იარაღს ხელი მოჰკიდეს არა მხოლოდ კიეველებმა და ლტოლვილებმა, არამედ პოლტაველებმა, ხარკოველებმა, დონბასელებმა, ოდესელებმა, ხერსონელებმა, ნიკოლაეველებმა. ამას რუსეთი ნამდვილად არ მოელოდა.

შედეგად, რუსეთს მოუწია, დაეტოვებინა კიევის ოლქი, ჩერნიგოვსჩინა, ხარკოვსჩინა, ხერსონი. საერთო-სახალხო წინააღმდეგობამ შედეგი გამოიღო.

ასე დამთავრდა ომის პირველი ეტაპი. ის მისმა უდიდებულესობა უკრაინელმა ხალხმა მოიგო.

2. ილუზიების გაცამტვერება. ხერსონის აღების შემდეგ უკრაინაში მასობრივ კონტრშეტევას მოელოდნენ. უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ მთავარია, ზამთარს გავუძლოთ, შემდეგ კი უკრაინელთა კონტრშეტევა გარდუვალია. რუსეთმაც უკრაინული ენერგოსტრუქტურების დაბომბვა დაიწყო. მთელი ძალისხმევა ბახმუტის აღებისაკენ იქნა მიმართული. ოკუპანტებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. ბახმუტი დაინგრა, მაგრამ მტერს არ დანებდა.

კონტრშეტევა მართლაც დაიწყო. წარმატებებიც სახეზეა. რად ღირს თუნდაც ე.წ. „სუროვიკინის პირველი ხაზის" გარღვევა და წინსვლა ტოკმაკისაკენ. ამავე დროს ცხადი გახდა, რომ რუსებმა მთელი სტეპები დანაღმეს და თავდაცვის ეშელონირებული ზღუდეებიც ააგეს. ამან ელვისებური კონტრშეტევა შეუძლებელი გახადა.

3. ომმა ხანგრძლივი, გაჭიანურებული ხასიათი მიიღო. ცხადია, რომ პუტინი შეეცდება გაწელოს ომი 2024 წლის შემოდგომამდე, როცა აშშ-ში ახალ პრეზიდენტს აირჩევენ. პუტინს მწარე იმედგაცრუება მოელის. ხელისუფლებაში უკვე ვერც ტრამპი და ვერც მისი ყაიდის მოღვაწენი ვერ მოვლენ. ომიც მაქსიმუმ 2025 წლადე გაგრძელდება. მოსკოვს აღარ შერჩა არც ადამიანური, არც მატერიალური რესურსი საიმისოდ, რომ ხანგრძლივი ბრძოლები აწარმოოს.

მთელი დემოკრატიული მსოფლიოც ომის დამთავრებასა და უკრაინის გამარჯვებას მოუთმენლად მოელის.

# ლატვია რუსეთ-ბელორუსთან საზღვრის დანაღმვას აპირებს

ლატვია რუსეთ-ბელორუსთან საზღვრის დანაღმვას აპირებს. ამის თაობაზე ლატვიის თავდაცვის მინისტრმა მურნიედემ განაცხადა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## ძროხა ქალს თავს დაესხა და ნეკნები ჩაუმტვრია



ინდოეთში აგრესიული ძროხა ადგილობრივ მაცხოვრებელ ქალს თავს დაესხა და სერიოზული დაზიანებები მიაყენა, მათ შორის, ნეკნებიც ჩაუმტვრია.

შინაური ცხოველის თავდასხმა იმ დროს მოხდა, როდესაც 56 წლის ვარშა პანჩალი ტაძარში მიდიოდა. როგორც კი ქალი ძროხების ნახირს გაუსწორდა, ერთ-ერთი მას თავს დაესხა.

ქალმა დაზიანებები მიიღო სახის არეში, ფეხებზე და ნეკნების მოტეხილობა. მან ასევე ერთ-ერთი ფილტვის დაზიანებაც მიიღო. პანჩალი სასწრაფოდ საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი და ის რეანიმაციულ განყოფილებაში მოათავსეს.

დაშავებული ქალის მეუღლემ პოლიციაში განცხადება შეიტანა ნახირის მფლობელის წინააღმდეგ. აგრესიული ძროხის პატრონის ვინაობა სამართალდამცავებმა დაადგინეს და ის პასუხისგებაში მისცეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# ბრონქიტს კაკლის ნაჭუჭი შველის

## როდის არის საშიში ქოშინი

ჰაერი ცხვირის ღრუში იფილტრება და შეთბება, შემდეგ ხახის, ხორხის, ტრაქეების გავლით, დატოტიანებული ბრონქებიდან ფილტვებში გადადის. ფილტვებში ჰაერი შედის ალვეოლებში (მიკროსკოპულ ბუშტუკებში), რომლებსაც ძალიან თხელი კედელი აქვთ. ალვეოლებს გარს უვლის სისხლძარღვოვანი ქსელი, სადაც ხდება გაზთა ცვლა. ჟანგბადი შეიწოვება სისხლში, ხოლო სისხლიდან ალვეოლური გზით ნახშიროჟანგი გამოიდევნება და უკან ამოისუნთქება. ამ აქტის შესასრულებლად გულმკერდი იშლება (ჩასუნთქვისას) და იკუმშება (ამოსუნთქვისას). ეს პროცესი ნეკთაშუა და გულმკერდის კუნთებით ხორციელდება. სუნთქვაში მონაწილეობს ტიხარი გულმკერდის და მუცლის ღრუებს შორის. სუნთქვის დროს, რომ ფილტვმა თავისუფლად იმოძრაოს, მას გარშემო შემოკრული აქვს თხელი, კრიალა გარსი – პლევრა, რომელიც სითხის მცირე რაოდენობით არის დასველებული. ფილტვი თავისუფლად სრიალებს პლევრის ღრუში.

სუნთქვა ხშირდება, მაშინ, თუ კუნთებში ჟანგბადზე მოთხოვნილება იმატებს, ამ დროს ფილტვის გაძლიერებული ვენტილაცია მიმდინარეობს. ადამიანი იწყებს ქოშინს. თუ ჯანმრთელია ადამიანი, ქოშინი 2-3 წუთში გაივლის. მოსვენებულ მდგომარეობაში ადამიანი წუთში 16-20-ჯერ სუნთქავს. ფიზიკური დატვირთვის დროს სუნთქვა ღრმა და გახშირებულია. ქოშინს იწყებს ადამიანი თუ ჟანგბადის უკმარისობას განიცდის, რაც შეიძლება სიმაღლეზე ასვლით ან ფიზიკური დატვირთვით იყოს გამოწვეული. ქოშინი ზოგჯერ სიცხეშიც ვითარდება. ეს გახლავთ ჩვეულებრივი, ბუნებრივი ქოშინი.

პათოლოგიური ქოშინი შეიძლება გამოწვეული იყოს ფილტვისა და სასუნთქი გზების, გულ-სისხლძარღვთა დაავადებების დროს. ქოშინს იწვევს ფსიქო-ემოციური მოშლილობა და ზოგჯერ ანემიაც, რომლის დროსაც ორგანიზმი ჟანგბადის შიმშილს განიცდის. ქოშინი თუ შემოგეჩვიათ, მიმართეთ ექიმს, რომ მოსალოდნელი გართულება თავიდან აიცილოთ.

ხველა არ ნიშნავს, რომ ადამიანი აუცილებლად ავად არის, მაგრამ მისი მომატება ყველა შემთხვევაში სასუნთქი გზების დაავადებაზე მიუთითებს. ხველა არის ფილტვის, სასუნთქი გზების, პლევრის მწვავე და ქრონიკული ანთების სიმპტომი. გრიპს, მწვავე რესპირატორული დაავადებები, ბრონქიტი, ფილტვების ანთება, ფილტვების დამტვერიანება, ბრონოექსტაზიური დაავადება, ტუბერკულოზი ხველის გარეშე არ მიმდინარეობს. ხველის დროს თუ ნახველი არ გამოიყოფა, მას მშრალს ეძახიან. ხანგრძლივი ხველის გამო ზოგჯერ ავადმყოფს გულმკერდისა და მუცლის ზედა კუნთები ეჭიმება და სტკივა. საგანგაშოა სისხლიანი ხველა, რადგან საქმე გვაქვს სერიოზულ დაავადებებთან, როგორიცაა ტუბერკულოზი, ფილტვის ინფარქტი, ბრონქოექსტაზიული დაავადების გამწვავება, ზოგჯერ კი ფილტვის ინფარქტი.

ბრონქიტი სასუნთქი გზების ანთებაა. არჩევენ მწვავე და ქრონიკულ ბრონქიტს. მწვავე ფორმა ვითარდება გრიპის, ყივანახველის, დიფტერიის, ადენოვირუსული ინფექციის ფონზე. ბრონქიტი შეიძლება ალერგიულიც იყოს. ამ დროს ადამიანი შეისუნთქავს სხვადასხვა ნივთიერებებს, ყვავილის მტვერს, რასაც ალერგიული ხველა მოსდევს. ბრონქიტს ხელს უწყობს გაცივება, ცივი და ნესტიანი ჰაერის შესუნთქვა, იმუნური სისტემის დაქვეითება. ბრონქიტით ხშირად მთვრალი ადამიანი ავადდება. დაავადების დასაწყისში მშრალი ხველა მიმდინარეობს, რაც შემდეგ გაძლიერდება, რამდენიმე დღის შემდეგ ნახველი ლორწოვანია. ავადმყოფს აქვს ფხაჭნის შეგრძნება, ტკივილი მკერდის ძვლის უკან, გულმკერდში შებოჭვის შეგრძნება აწუხებს. ამ დროს ხშირად სხეულის ტემპერატურა იმატებს. ბრონქიტის გამწვავება დამოკიდებულია მისი გამომწვევი დაავადების სირთულეზე. ჩვეულებრივ ფონზე ბრონქიტი ერთი კვირის განმავლობაში წყნარდება. ალერგიული წარმოშობის ბრონქიტი კი შეიძლება რამდენიმე კვირით გახანგრძლივდეს. მოსახლეობაში გავრცელებულია აზრი, რომ ხველა პრობლემას არ შექმნის და თავისით გაივლის, ამიტომ ბრონქიტი ხშირად ფილტვის სხვადასხვა პათოლოგიების მიზეზი გახდეს.

ბრონქიტის დროს ავადმყოფი უნდა ერიდოს ცივ ჰაერს, ბევრ ლაპარაკს, ყოველგვარ სუნს. ოდნავ მა მტვრიანმა გარემომაც შეიძლება მდგომარეობა დაამძიმოს. საჭმელი ავადმყოფს თბილი უნდა მიეცეს. ავადმყოფი ზედმეტად თბილ გარემოში არ უნდა იმყოფებოდეს, რადგან მოსალოდნელია გაოფლიანება და ხელმეორედ გაცივება.



ბრონქიტი რომ ქრონიკულში არ გადავიდეს, საჭიროა ექიმის დანიშნულების მიხედვით მკურნალობა.

თუ ადამიანს რამდენჯერმე დაემართა ბრონქიტი და სათანადოდ არ იყო ნამკურნალევი, შეიძლება ქრონიკულ ფორმაში გადავიდეს. ქრონიკული ბრონქიტის ჩამოყალიბებას მტვრიანი გარემო უწყობს ხელს, ამიტომ ეს დაავადება დიდ ქალაქებში უფრო ხშირია. გახანგრძლივებული ხველა უყურადღებობას ვერ იტანს. უმნიშვნელო ბრონქიტიც კი შეიძლება მძიმე ფორმაში გადავიდეს. მკურნალობის დროს არ დაგავიწყდეთ ანტიალერგიული საშუალებების გამოყენება. თუ ერთხელ მაინც დაგემართათ ბრონქიტი, მკურნალობა აუცილებლად ბოლომდე მიიყვანეთ.

ბრონქიტის დროს შვებას მოგგვრით კომშის გულისა და ქერქის ნახარშის მიღება. რძე მინერალურ წყალთან ერთად, ცაცხვის ყვავილის ნაყენი. ხველებას შეიძლება ხახვით შეებრძოლოთ. დაჭერით ხახვი, მოაყარეთ შაქარი, 1 საათის შემდეგ მიიღეთ ხახვის წვენი. თუ ხახვს ვერ იტანთ, იგივე მეთოდით მოამზადეთ ბოლოკის „წვენი" და დღეში რამდენჯერმე მიიღეთ. ბრონქიტს უჩვეულო ერბოკვერცხიც შველის. თხილისოდენა უმარილო კარაქი და თაფლის სანთელი გაადნეთ ტაფაზე, დაასხით კარგად გათქვეფილი კვერცხი, ოდნავ შემწვარი (რა თქმა უნდა, უმარილო) კვერცხი მიირთვით და რამდენიმე საათი თბილად იწექით, უმჯობესია არ ილაპარაკოთ.

საკმაოდ ეფექტური მეთოდია: ერთი ლიმონი ხარშეთ 10 წუთი, დარბილდება და მეტ წვენს გამოუშვებს. წვენი ჩაასხით ჭიქაში, დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი გლიცერინი. კარგად აურიეთ და შემდეგ ჭიქა პირამდე შეავსეთ თაფლით. თუ ძალიან გახველებთ, მაშინ დღეში სამჯერ მიიღეთ თითო ჩაის კოვზი. უმჯობესია, დილით უზმოზე, ადგომისთანავე მიიღოთ. საკმაოდ შედეგიანია ბავშვებისთვისაც. არ იწვევს კუჭ-ნაწლავის გაღიზიანებას.

ქრონიკული ბრონქიტის დროს კარგია ალოეს წვენის (15 გრ), ღორის ქონის (100 გრ), უმარილო კარაქის (100 გრ), კაკაოს (50 გრ) ნარევი. ერთ ჭიქა ცხელ რძეში გახსენით ერთი სუფრის კოვზი ნარევი. მიიღეთ დილით და საღამოს.

400 გრამ ქატოს დაასხით 1 ლიტრი წყალი, ადუღეთ 20 წუთი, შემდეგ მიიღეთ მთელი დღის განმავლობაში, შეგიძლათ დაატკბოთ.

გართულებულ ბრონქიტს შველის: ლიმონი კანიანად გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, გამოაცალეთ კურკები, შეურიეთ 4 თავი დაჭყლეტილი ნიორი, დაასხით ერთი ლიტრი ადუღებული და გაციებული წყალი. მჭიდროდ თავდახურული ჭურჭლით 5 დღის განმავლობაში ცივ და ბნელ ადგილას შეინახეთ. მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

100 გრამ გახეხილ პირშუშხას დაუმატეთ 3 ლიმონის წვენი. მიიღეთ ერთი სუფრის კოვზი უზმოზე, რამდენიმე საათის განმავლობაში არაფერი ჭამოთ. შეგიძლიათ რამდენიმე ჩაის კოვზი მიიღოთ დილიდან შუადღემდე, ამ შემთხვევაშიც არაფერი უნდა ჭამოთ.

კაკლის ნაჭუჭს (10 ცალი) დაუმატეთ 2 სუფრის კოვზი თაფლი, დაასხით ნახევარი ლიტრი წყალი და წამოადუღეთ. ნაყენი გაფილტრეთ, შეაგრილეთ და მიიღეთ დღეში 3-ჯერ თითო სუფრის კოვზი.

ბავშვებში თუ ბრონქიტის საწყისი სტადიაა, შეგიძლიათ თითო ჩაის კოვზი აბუსალათინის ზეთი მისცეთ.

# ჭორფლი — კანის პიგმენტაციის ანომალია

რა იწვევს კანის შეფერილობის შეცვლას? ასეთი შეკითხვით რამდენიმე მკითხველმა მოგვმართა. ვეცდებით მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია კანის პიგმენტაციის ანომალიების შესახებ და როგორ გავაუმჯობესოთ მდგომარეობა შინაურ პირობებში.



**ჭორფლი** – მცირე პიგმენტური ლაქებია, რომლებსაც მოყვითალო-მოყავისფრო ელფერი აქვს. ისინი გვხვდება სახეზე, ზურგზე, ხელის მტევნებზე. გაზაფხულ-ზაფხულში ჭორფლი იმატებს, ზამთარში კი ნაკლებად შესამჩნევია. კონკრეტული მეთოდი ჭორფლის მოსაშორებლად არ არსებობს. თუ თქვენი კანი საშუალებას გაძლევთ, ყოველ საღამოს წაისვით ლიმონი, გაიკეთეთ მაწვნის ნიღბები. ეფექტურია, კიტრის, დაჭრილი ოხრახუშის და მაწვნის ნაზავი, ასევე შავი მოცხარის წვენი. თბილი თვეების დადგომისთანავე თუ იხმართ მზის სხივებისგან დამცავ კრემებს შეიძლება ჭორფლმა „დაგინდოთ" და ნაკლებად შესამჩნევი გახდეს.

**ვიტილიგო** – პიგმენტის გაქრობის შედეგია. კანზე მკვეთრად შემოსაზღვრული თეთრი ლაქები წარმოიშვება. ლაქამ კანის საკმაოდ დიდი უბანიც შეიძლება დაიკავოს. ზოგჯერ ლაქები ერთ რიგში, ჯგუფურად ლაგდებიან. ასეთ დაავადებულ უბანზე უპიგმენტო თმა (ჭაღარა) ამოდის. დაავადებას ქავილი, წვა, მტკივნეულობა არ ახასიათებს. ვიტილიგოზე ეფექტურად მოქმედებს ლეღვის წვენის წასმა.

**ხალი** – კანის განვითარების მანკი. ხალი შეიძლება იყოს სხვადასხვაგვარი, თანდაყოლილიც და შემდეგ წარმოქმნილიც. თანდაყოლილი ხალი ორგვარია – პიგმენტური და ანგიომები (სისხლძარღვოვანი ლაქები), ხალების რაოდენობა ორსულობის და სქესობრივი მომწიფების პერიოდში იმატებს.

**თმიანი ხალი** – შავი ან მოყავისფროა, შეხებით მეჭეჭოვანი, ხორკლიანია. ზოგჯერ შეიძლება დიდი ფართობი დაიკავოს და დეფექტად გადაიქცეს. მისი ოდნავი დაზიანების შემთხვევაშიც მიმართეთ ექიმს.

**რბილი მეჭეჭი** – პატარა ზომის, მოყავისფრო-რუხი სიმსივნეებია. ისინი ხშირად ვითარდება კისერზე, ზურგზე, საზარდულის არეში.

**ქლოაზმა** – პიგმენტაციის მოშლის ერთ-ერთი სახეობაა. არასწორი ფორმის მოყვითალო-ყავისფერი ლაქებია, რომლებიც ჩვეულებრივ სიმეტრიულად არიან განლაგებულები შუბლის, ცხვირის, კისრის არეში. ქლოაზმის გაჩენა შეიძლება გამოწვეული იყოს ორსულობით, შინაგანი სეკრეციის ჯირკვლების ფუნქციის მოშლით, ღვიძლისა და კუჭნაწლავის დაავადებებით. თუ ორსულობით არის გამოწვეული მშობიარობის შემდეგ უკვალოდ გაქრება.

**პიგმენტური ლაქები** – ჰიპერპიგმენტაცია, შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა გარეგანი ფაქტორებით (მზის სხივებით, დამწვრობით, მოყინვით) ნივთიერებათა ცვლის მოშლილობით, ქრონიკული ინფექციებით.

გახსოვდეთ, საკვებში A ვიტამინის ნაკლებობამ შეიძლება სხვადასხვა დაავადება გამოიწვიოს. ზოგს იდაყვებზე მოყვითალო-მოყავისფრო ლაქები უჩნდება, რომლებიც მშრალია და იქერცლება. კანის შეფერილობის შეცვლა შეიძლება სხვადასხვა ქიმიურმა ნივთიერებებმაც გამოიწვიონ.

## კალეიდოსკოპი



### ციდან ჩამოვარდნილმა ყინულის ლოდმა სახლის სახურავი ჩაამტვრია

აშშ-ში უცნობი წარმომავლობის ყინულის ლოდი ჩამოვარდა ციდან და სახლის სახურავი ჩაამტვრია.

აღნიშნული ინციდენტი კალიფორნიის შტატში 8 აგვისტოს, დაახლოებით საღამოს 10:00 საათზე, მოხდა. იმ დროს სახლის პატრონი ჯონ ლეკლერი მანქანის შეკეთებით იყო დაკავებული, ხოლო მისი მეუღლე რენე სახლში იმყოფებოდა. მათი თქმით, ყინულის ლოდის ჩამოვარდნის ხმა ზარბაზნის გასროლის ხმას წააგავდა. თავდაპირველად ქალს ეგონა, რომ ბინაში მძარცველები შეიჭრნენ, თუმცა, მალე წყვილმა სახლის სახურავში დაახლოებით 60 სანტიმეტრის დიამეტრის ხვრელი შენიშნა, ხოლო სხვენში დაახლოებით ბოულინგის ბურთის ზომის ყინულის ნაჭერი ალმოაჩინა.

თავდაპირველად ლეკლერს ის მეტეორიტი ეგონა, თუმცა, შემდეგ იფიქრა, რომ ყინულის ნაჭერი თვითმფრინავიდან ჩამოვარდა, რომელმაც მათი სახლის თავზე გადაიფრინა. მამაკაცი ტრანსპორტის უსაფრთხოების ეროვნულ კომიტეტს დაუკავშირდა, სადაც მას განუცხადეს, რომ ყინულის საიდუმლოებით მოცული ნაჭერი მათი პასუხისმგებლობის ზონაში არ შედიოდა.

მართალია, ზოგჯერ თვითმფრინავიდან მართლაც ცვივა ყინულის ნაჭრები, თუმცა, ისინი ასეთი დიდი ზომის არ არის. გამორიცხული არ არის, რომ ლეკლერის სახლის სახურავი დააზიანა მეგაკრიომეტეორმა. ეს ტერმინი ესპანელმა გეოლოგმა ხესუს მარტინეს-ფრიასმა შემოიღო და რომელიც უზარმაზარი სეტყვის ნაჭრების აღსაწერად გამოიყენება, რომლებიც 2000 წელს ესპანეთში ათი დღის განმავლობაში ცვიოდა ციდან, მიუხედავად სრულიად მოწმენდილი ცისა. ყოველი მათგანის წონა საშუალოდ სამ კილოგრამს შეადგენდა. ჯერჯერობით, დაუდგენელია, თუ რა იწვევს მეგაკრიომეტეორების ჩამოცვენას.

### დედა და ცოლი მოძალადე პედოფილს ციხიდან გაქცევაში დაეხმარნენ



აშშ-ში დააკავეს მოძალადე პედოფილი, რომელიც ერთი წლის წინ დედის და ცოლის დახმარებით ციხიდან გაიქცა.

39 წლის სემიუელ ჰარტმანი, რომელსაც 14 წლის გოგონას გაუპატიურებისთვის სამუდამო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი, ციხიდან 2022 წლის 12 აგვისტოს გაიქცა. იმ დღეს ის სხვა პატიმრებთან ერთად საპატიმროს კედლების გარეთ მუშაობდა. ისინი გზის მახლობლად იმყოფებოდნენ, როდესაც მოულოდნელად მათ გვერდით პიკაპი გაჩერდა. მანქანიდან ორი ქალი გადმოხტა და ბადრაგს ცეცხლი გაუხსნა, რითიც ჰარტმანს მანქანაში ჩაჯდომის საშუალება მისცეს.

გამოსასწორებელი დაწესებულების თანამშრომლები გაქცეულებს მდინარე მისისიპიმდე მისდევდნენ. იქ ჰარტმანი და მისი თანამზრახველები, რომლებიც დედამისი ლინდა უაიტი და ცოლი მისტი ჰარტმანი აღმოჩნდნენ, ჰიდროციკლებზე გადასხდნენ და მიიმალნენ.

მიმდინარე წლის აგვისტოში გამომძიებლებმა გაარკვიეს, რომ უაიტს კავშირები ჰქონდა დასავლეთ ვირჯინიაში და მათ დახმარებისთვის იქაურ კოლეგებს მიმართეს. სამშაბათს, 29 აგვისტოს ბოროტმოქმედი, მისი ცოლი, დედა და დედის ბოიფრენდი როდნი ტრენტი ორი შტატის პოლიციის ერთობლივი ოპერაციის შედეგად დააკავეს.

ტრენტს გაქცეული დამნაშავის დამალვის ბრალდება წაუყენეს, ხოლო კონკრეტულად რა ბრალდებები წაუყენეს ჰარტმანის ცოლსა და დედას, უცნობია.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ქამალა ჰარისი ინდონეზიაში გაემგზავრება



აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი ქამალა ჰარისი ინდონეზიაში გაემგზავრება. ამის შესახებ იტყობინება „ამერიკის ხმა". ჰარისი მონაწილეობას მიიღებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სამიტში.

დაძაბულობა გამოიწვია ჩინეთის მორიგმა გამოხდომამ. ოფიციალურმა პეკინმა გამოაქვეყნა რუქა, რომელმაც აღაშფოთა ინდოეთი, ტაივანი, ვიეტნამი და ა.შ. სავარაუდოდ, სამიტზე ჰარისი ამ საკითხსაც აღძრავს.

# სვატოვი-კრემენოეს მიმართულებით ბრძოლებია



უკრაინაში საომარი მოქმედებები გრძელდება. კუპიანსკთან მოხერხდა ვითარების შედარებითი დასტაბილურება. ოკუპანტებმა სოფელ სენკივკიდანაც უკან დაიხიეს.

ბრძოლებია სვატოვი-კრემენოეს მიმართულებითაც. უკრაინელებმა რამდენიმე მნიშვნელოვანი სიმაღლე დაიკავეს. ამან ოკუპანტების მდგომარეობა გაართულა.

დონბასში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა მარინკასთან. აქ ოკუპანტებმა რამდენიმე კმ-ით წაიწიეს წინ. რაც შეეხება ავდეევკას, აქ სიტუაცია უცვლელია. უკრაინელებმა განაახლეს აქტიური შეტევები დონბასის რიგ ქალაქებზე. ოკუპანტების წინააღმდეგობის მიუხედავად, უკრაინელები წინ მიიწევენ. დრამატულად ვითარდება სიტუაცია ბახმუტის მახლობლად. აქ ფლანგებზე უკრაინელები სულ უფრო ავიწროებენ ოკუპანტებს და წინ მიიწევენ.

ცხარე ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქში. უკრაინელებმა ე.წ. „სუროვიკინის მეორე ხაზიც" გაარღვიეს. ამრიგად, უკრაინული არმია ტოკმაკს მიუახლოვდა.

უკრაინელები წარმატებით განაგრძობენ წინსვლას ხერსონის ოლქის დნეპრის მარცხენა ნაპირზეც. რუსების მცდელობა, დაიბრუნონ დაკარგული პოზიციები, ამაოა.

# პუტინმა ერდოღანის წინადადება უარყო



როგორც ცნობილია, სოჭში ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთის დიქტატორი პუტინი და თურქეთის პრეზიდენტი ერდოღანი. პუტინმა უარი თქვა, გაეგრძელებინა „მარცვლეულის შეთანხმება," თუმცა, დათანხმდა, რომ ზოგირეთ აფრიკულ ქვეყანას რუსეთი მიაწვდის მარცვლეულს. მათ შორის არიან: სომალი, მალის რესპუბლიკა და ა.შ.

ერდოღანი უკრაინაში შექმნილ მდგომარეობასაც შეეხო. მან აღნიშნა, რომ უახლოეს დროში მშვიდობის დამყარება შეუძლებელია.

# უკრაინას ახალი თავდაცვის მინისტრი ეყოლება

უკრაინის თავდაცვის მინისტრმა რეზნიკოვმა გადადგომის თაობაზე განცხადებით მიმართა პარლამენტს. პარლამენტმა ხმების აბსოლუტური უმრავლესობით ამას მხარი დაუჭირა. რეზნიკოვის გადადგომას მხარი დაუჭირა 327-მა დეპუტატმა. ცალკეული ცნობით, უკრაინის თავდაცვის მინისტრი რუსტამ უმაროვი გახდება.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## კალეიდოსკოპი

# ტაქსის მძღოლმა ცნობილ მევიოლინეს უძვირფასესი ვიოლინო დაუბრუნა



ტაილანდის დედაქალაქ ბანგკოკში ტაქსის მძღოლმა ცნობილ მუსიკოსს მისი მანქანის სალონში დავიწყებული ვიოლინო დაუბრუნა, რომლის ფასი 18 მილიონი ბატია.

უტენ დენკხანდოტმა ჩინელი მევიოლინე სიუე ვეი რესტორანთან ჩაისვა მანქანაში. როდესაც მუსიკოსი მანქანიდან გადავიდა, მას მის სალონში დარჩა თავისი ძვირადღირებული 200 წლის ვიოლინო. როდესაც მევიოლინემ ჯანაკარგი აღმოაჩინა, მაშინვე ამის თაობაზე პოლიციაში განაცხადა. მიუხედავად ჩატარებული გამოძიებისა, სამართალდამცავებმა ვერ მიაგნეს ავტომობილს, რომლითაც ვეიმ იმგზავრა.

პოლიციელებმა დახმარებისთვის ადგილობრივ რადიოსადგურს მიმართეს. მათ დენკხანდოტთან დაკავშირება მეორე დღეს მოახერხეს. მალე ტაქსის მძღოლი პოლიციაში მივიდა, სადაც მევიოლინეს მეგობარს შეხვდა და დაკარგული ვიოლინო გადასცა. ვეი უზომოდ ბედნიერი იყო იმით, რომ თავისი ვიოლინო დაიბრუნა და მადლიერების ნიშნად ტაქსის მძღოლს სასაჩუქრე სერტიფიკატი გადასცა.

# მინდორში ნაპოვნი ჟანგიანი სათლი ძვირფასი არტეფაქტი აღმოჩნდა



ბრიტანელმა პროფესიონალმა ფოტოგრაფმა უძველესი თასი იპოვა, რომელიც სპეციალისტებმა 30 ათას ფუნტ სტერლინგად შეაფასეს.

განძის მაძიებელმა, 36 წლის კრის ულიოტმა, უძველესი ნივთი მიმდინარე წლის თებერვალში იპოვა. მისი ლითონმაძიებელი ხელსაწყო იმ დროს ამოქმედდა, როდესაც ის ჩრდილოეთ იორკშირის საგრაფოში მინდორს იკვლევდა. სიგნალის მიღების შემდეგ ულიოტი მიწის თხრას შეუდგა და გარკვეული დროის შემდეგ ლითონის საგნის ზედა ნაწილს გადააწყდა, რომელიც ძველ ჟანგიან სათლს წააგავდა.

– მასზე პატარა მარყუჟები მოჩანდა, რომლებიც ჯერ ისევ მოძრაობდნენ. გავიფიქრე, რომ თუ ისინი ჯერ ისევ მოქმედია, მაშინ ეს ნივთი უკეთეს შემთხვევაში ვიქტორიანულ ეპოქას განეკუთვნება, – იხსენებს ულიოტი.

ბრიტანელმა ნივთი მთლიანად ამოთხარა და საგულდაგულოდ შეათვალიერა. მის გვერდით მყოფმა გამოცდილმა განძის მაძიებლებმა უთხრეს, რომ ეს ნივთი, სავარაუდოდ, ანგლო-საქსურ პერიოდს განეკუთვნებოდა, რომელიც დაახლოებით ჩვენი წელთაღრიცხვის 410-დან 1066 წლამდე გრძელდებოდა. მოგვიანებით პროფესიონალმა არქეოლოგმა მათი ვარაუდი დაადასტურა. მისი აზრით, ულიოტმა იპოვა სპილენძის შენადნობიდან დამზადებული თასი, რომელიც ანგლო-საქსურ პერიოდში იყო დამზადებული.

ულიოტის მიერ ნაპოვნი თასი აუქციონზე გაიყიდება, ხოლო მიღებულ თანხას განძისმაძიებელი ფოტოგრაფი იმ მიწის მფლობელს გაუნაწილებს, რომლის ნაკვეთშიც იპოვა აღნიშნული არტეფაქტი.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## სპორტი

# ბიბისი მსოფლიო თასზე ნინიაშვილის გაბრწყინებას ელოდება



რაგბის მსოფლიო თასი საფრანგეთში 8 სექტემბერს იწყება, საქართველო კი, პირველ მატჩს 9 სექტემბერს ავსტრალიასთან გამართავს.

საფრანგეთში გასამართ დიდ ტურნირზე ქართველი დავით ნინიაშვილის გაბრწყინებას ელიან. 21 წლის ჩვენებურის გარდა, ბიბისის რჩეულთა სიაში კარტერ გორდონი (ავსტრალია), ხუან მარტინ გონსალესი (არგენტინა), ქენან მუდი (სამხრეთ აფრიკა) და ლუი ბიელ-ბიარი (საფრანგეთი) მოხვდა.

**აი, რას წერს ბიბისი ჩვენებურზე:**

– დავით ნინიაშვილი იმ მორაგბეთა რიცხვს მიეკუთვნება, რომელსაც თამაში როგორც დაცვაში, ასევე შეტევის დროს ერთნაირი წარმატებით შეუძლია. მიუხედავად ახალგაზრდული ასაკისა, ქართველ ტალანტს საერთაშორისო დონეზე თამაშის საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. აქვს საოცარი სისწრაფე, მოქნილობა და მეტოქის დაცვის ხაზის გაჭრის შესანიშნავი უნარი. ეს ყველაფერი გვაფიქრებინებს, ნინიაშვილი საქართველოს ნაკრების ერთ-ერთ საკვანძო მოთამაშედ დავასახელოთ.

ქართველი საფრანგეთის TOP14-ის ლიონშიც ერთ-ერთი გამორჩეულია და ამ გუნდის მაისურით დასამახსოვრებელი მატჩები აქვს ჩატარებული. გვინდა, გავიხსენოთ 2022 წლის „ჩელენჯ ქაფის" ფინალი, რომელშიც ქართველმა მორაგბემ სამხრეთაფრიკელი ებენ ეტზებეტი ბოჭვისას ადგილზე გააქვავა.

უელსისა და ავსტრალიის ნაკრებებმა აქედანვე უნდა იფიქრონ, როგორ მოახერხებენ ნინიაშვილის განეიტრალებას, რადგან მათთვის პრობლემების შექმნა შეუძლია.

ბიბისი ერთადერთი არ არის, ვინც საქართველოს ნაკრებზე დადებითად წერს. ლევან მაისაშვილის გუნდს ავსტრალიელი მორაგბე რიჩი არნოლდიც უფრთხის და აცხადებს, თუ საქართველოს არ დააფასებენ, შესაძლოა, მათთვის დამღუპველი აღმოჩნდეს.

**რიჩი არნოლდი:**

– საქართველოს დაუფასებლობა არ შეიძლება. თუ ვიფიქრებთ, რომ იოლად მოვუგებთ, ეს ყველაფერი ჩვენთვის ცუდად დასრულდება. ბოლო პერიოდში კარგი შედეგები არ გვაქვს, მაგრამ ეს დამატებითი მოტივაციაა. მსოფლიო თასზე ისეთ ჯგუფში მოვხვდით, ფაქტობრივად, ყველა მატჩი დიდი გამოწვევა იქნება.

შეგახსენებთ, ც ჯგუფში ავსტრალიისა და საქართველოს ნაკრებების გარდა, უელსი, ფიჯი და პორტუგალია მოხვდნენ. ფლეი ოფში 2 საუკეთესო გავა.

# ძიუდოისტთა ნაკრები ბაქოში გადახალისებული შემადგენლობით მიდის



22-24 სექტემბერს, აზერბაიჯანის დედაქალაქი ბაქო გრანდ სლემს უმასპინძლებს, სადაც საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებიც იასპარეზებს.

საქართველოს ნაკრების ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, სამეზობლოში გუნდის რამდენიმე ლიდერი არ იასპარეზებს. 16-კაციან სიაში ვერ ვხედავთ ტატო გრიგალაშვილს (81კგ), ლაშა ბექაურს, ლუკა მაისურაძესა და ბექა ღვინიაშვილს (ყველა 90).

**საქართველოს ნაკრები ბაქოს გრანდ სლემზე ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს:**

**კაცები:** ლუხუმ ჩხვიმიანი, გიორგი სარდალაშვილი (ორივე 60), ვაჟა მარგველაშვილი, ლაშა ნადირაძე (ორივე 66), ლაშა შავდათუაშვილი, გიორგი ტერაშვილი (ორივე 73), ზაურ დვალაშვილი, დიმიტრი გოჩილაიძე (ორივე 81), ვლადიმერ ახალკაცი, თორნიკე ფოლადიშვილი (ორივე 90), ილია სულამანიძე, ერეკლე ბაზიერიშვილი (ორივე 100), გელა ზაალიშვილი, გურამ თუშიშვილი (ორივე +100).

**ქალები:** ეთერ ლიპარტელიანი (57), სოფიო სომხიშვილი (+78).

# ძალოსნებმა უმედლოდ დაიწყეს



საუდის არაბეთში 2023 წლის ძალოსანთა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო, სადაც 2024 წლის პარიზის ოლიმპიური თამაშების ლიცენზიების ქულებიც გათამაშდება. საქართველოს მრავალრიცხოვანი დელეგაციიდან არაბულ ფიცარნაგზე პირველი რამინ შამილიშვილი (55კგ) გავიდა და უმედლოდ დარჩა.

არადა, წლეულს, ძალოსანთა ევროპის ჩემპიონატზე შამილიშვილმა უკეთესი შედეგები აჩვენა: ატაცში 113 კილოგრამი დააფიქსირა და ამ მოძრაობაში ოქროს მედალი მოიპოვა, აკვრაში კი, 136 კილოგრამით ბრინჯაო ერგო, ხოლო ორჭიდში 249 კილოგრამით მეორე ადგილზე გავიდა.

საუდის არაბეთში ქართველმა საკუთარი შედეგები ვერ გაიმეორა და ყველა დისციპლინაში კვარცხლბეკს მიღმა აღმოჩნდა.

შამილიშვილმა არაბეთში ექვსიდან მხოლოდ ორი ცდა გამოიყენა: ატაცში თავდაპირველად 112 კილოგრამს გაუმკლავდა, რაც ამ მოძრაობაში მხოლოდ მე-7 მაჩვენებელი იყო, აკვრაში კი 131 კილოგრამით საერთოდ მე-11 საფეხურზე აღმოჩნდა, ხოლო ჯამში ისევ მეშვიდეზე.

შამილიშვილის შემდეგ ქართველებიდან ძალებს გოდერძი ბერდელიძე და შოთა მიშველიძე ცდიან.

**მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა**

## კალეიდოსკოპი

# უიშვიათესმა თევზებმა მეთევზე გაამდიდრა



ინდოეთში მეთევზემ უიშვიათესი სახეობის თევზები დაიჭირა, რომლებიც გაყიდა და გამდიდრდა.

ცხრა ცალი თევზი, რომლებსაც ადგილობრივები Telia Bhola-დ მოიხსენიებენ, ინდოეთის დასავლეთ ბენგალიის შტატის ქალაქ დიგხას მახლობლად ზღვაში დაიჭირეს. თითოეულის წონა 20-დან 25 კილოგრამამდე აღწევდა.

მეთევზეს მათმა გაყიდვამ 5,5 მილიონი რუპია მოუტანა. აღსანიშნავია, რომ თევზების გაყიდვამდე, მათ სანახავად თითქმის ყველა ადგილობრივი მაცხოვრებელი მივიდა.

თევზი Telia Bhola ძალიან ფასობს ტრადიციულ აღმოსავლურ მედიცინაში და ასევე ფარმაცევტიკაში.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**


# განცხადებები

● ოპერაციის გარეშე!!! საგვარეულო მცენარეული ნაკრების სიროფი: 1. „პლანტა" – ჩიყვი (კვანძოვან-კისტოზური, აუტოიმუნურიც); 2. „პლანტა-გლანდა" – ჩირქოვანი გლანდები, ადენოიდები, ხვრინვა; 3. „პლანტა+" – მასტოპათია (კვანძები), ფიბროადენომატოზული საშვილოსნო, მომატებული პროლაქტინი, უნაყოფობა. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● ფიტნეს ყავა!!! გასახდომი ყავა სამმაგი ეფექტით!!! აჩქარებს დაქვეითებულ მეტაბოლიზმს, აწესრიგებს პროლაქტინს! 1 ქილა – 1 თვის სამყოფი, გამდიდრებული ნალექიანი ყავა – 30 ლარი. მისამართი: თამარ მეფის 25. მწვანე აფთიაქი, ტელ: 577-52-88-41.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან განწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, განსალება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან განწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების", ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის განწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ვიტო კოლელიშვილი: ფრანგულ კლუბებში მიღებული გამოცდილება ქართულ რაგბს ადგება

ვეტერანი ბორჯღალოსანი ვიტო კოლელიშვილი, რომელმაც მოთამაშის კარიერა თავის ტრავმის გამო ნაადრევად დაასრულა, რაგბის გარეშე დიდხანს არ დარჩენილა.

ლელო-სარასენსის, ლიონისა და კლერმონის მესამეხაზელმა ერთი წელია სამწვრთნელო საქმიანობას მიჰყო ხელი და ამ სეზონში „ვულკანების" 18-წლამდელთა გუნდი ჩაიბარა.

როგორია მისი მიზნები სამწვრთნელო ასპარეზზე; როგორ ვითარდებიან ფრანგი ახალგაზრდები, რომელთა 20-წლამდე ნაკრები ბოლო სამი წელია მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის გამარჯვებულები ხდებიან; როგორ ხვდება კლერმონი 2023-24 წლების სეზონის ჩელენჯ თასს, სადაც მათი მეტოქე შავი ლომიც იქნება; ამ ყველაფრის შესახებ 33 წლის კოლელიშვილი თავად მოგვიყვება.

***– თქვენი, როგორც მოთამაშის კარიერა ტრავმის გამო ნაადრევად დასრულდა, თუმცა, რაგბის გარეშე დიდხანს არ დარჩენილხართ. როგორ გახდით კლერმონის 18-წლამდელთა გუნდის მწვრთნელი და რა შედის თქვენს ფუნქციებში?***

– ადამიანი სულ წინ უნდა იყურებოდეს, შრომობდეს, ვითარდებოდეს და მეც გადავწყვიტე, საკუთარ თავთან გაურკვევლობაში დიდხანს არ დავრჩენილიყავი. თუმცა, არც რაგბის გარეშე მინდოდა ყოფნა. მიზნად დავისახე, გამევლო სამწვრთნელო კურსები და ამელო ლიცენზია. სწავლების პარალელურად კლერმონის მახლობლად ერთ-ერთ „პატარა" გუნდს ვავარჯიშებდი და თან ვცდილობდი გავრკვეულიყავი, მართლა მინდოდა თუ არა მწვრთნელობა.

ამის შემდეგ ჩემი თავი კლერმონს შევთავაზე და გასულ სეზონში ესპუარების შერკინების მწვრთნელის დამხმარე და დაცვის კონსულტანტი ვიყავი. წელს 18-წლამდელთა გუნდი ორმა მწვრთნელმა ჩავიბარეთ. ახალგაზრდა სპეციალისტი ვარ და მთავარია, რასაც ვაკეთებ მომწონდეს და სიამოვნებას მანიჭებდეს. ვცდილობ, კონცენტრირებული ვიყო და მეტი გამოცდილება შევიძინო. მთავარია, რომ საყვარელ საქმეში – რაგბიში ვარ და ვეცდები, მოთამაშეებს იმ უნარების გაუმჯობესებაში დავეხმარო, რაზეც თამაშის პერიოდში მე ვმუშაობდი.

***– ბოლო დროს ფრანგული რაგბი ვითარდება, რაზეც ისიც მეტყველებს, რომ მათი 20-წლამდელთა ნაკრები ზედიზედ სამი წელია მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატს იგებს. რას აკეთებენ ფრანგები ბავშვთა და მოზარდთა რაგბში ისეთს, რასაც ასეთი შედეგები მოაქვს?***

– საფრანგეთში სასკოლო რაგბი მაღალ დონეზეა. ბავშვები სარაგბო უნარებს თავიდანვე ეჩვევიან. ამასთან, ძალიან ბევრი გუნდი და მოთამაშეა. ფრანგულმა რაგბმა წლების წინ განვითარების პროგრამა გააკეთა და უცხოელი მოთამაშეების ფაქტორი შეამცირა. ამის დამსახურებაა, 18 და 20-წლამდელთა გუნდები მაღალ დონეზე რომ თამაშობენ. ტოპ 14-ში მრავლად არიან 20-წლამდე მორაგბეები და სხვა ქვეყნებთან შედარებით მეტი გამოცდილება აქვთ. ისინი დიდ დროს ატარებენ მოედანზე, რაც შედეგზე აისახება. საფრანგეთში გადაადგილების პრობლემა არავის აქვს და ნიჭიერი მოზარდები მარტივად ახერხებენ დიდ გუნდებში ვარჯიშებზე სიარულს.

***– რაზე კეთდება აქცენტი 18-წლამდე მორაგბეებში? უნარების დახვეწაზე, სწორ თამაშზე, რაოდენობაზე თუ კიდევ სხვა რამეზე?***

– ეს მწვრთნელის ხედვაზეა დამოკიდებული. უმთავრესად ყველა ცდილობს, რომ 15-წლამდე მორაგბეს პასუხისმგებლობა არ აჰკიდოს. მათი მიზანია, სპორტის ეს სახეობა შეაყვაროს და სიამოვნება მიაღებინოს. თუ ბავშვი ამის შემდეგ გადაწყვეტს, რომ რაგბში დარჩეს, მერე ხდება მიზნების დასახვა და უნარების განვითარება. 15-16 წლის ბავშვებს ნაკლებად ევალებათ სპეციფიკური უნარების განვითარება, მუშაობენ საბაზისო უნარებზე და აქცენტი სისტემაზე, მორგებაზე კეთდება – გუნდური დაცვა, გუნდური შეტევა და ა.შ. ნელ-ნელა შემოდის პოზიციური უნარების შესწავლა.

დიდ კლუბებს აქვთ აკადემიები, სადაც გამორჩეული ბავშვები მეტი დატვირთვით ვარჯიშობენ. სახლში არავის უშვებენ, უბრალოდ



ნიჭიერსა და გამორჩეულ მოთამაშეებს, რომელთაც მეტი პერსპექტივა აქვთ, უნარების გასაუმჯობესებლად დამატებითი ვარჯიშები აქვთ. 18 წლიდან გაცხრილვა კიდევ ხდება. თუ გუნდს კვირაში 3-ჯერ აქვს ვარჯიში, გამორჩეულებს უნარებზე დამატებით ორი ვარჯიში უტარდებათ. ისინი საკუთარ თავზე მეტს ვარჯიშობენ და მათგან ხდება ესპუართა გუნდისთვის მოთამაშეების შერჩევა. ესპუარებში ვინც მოხვდება, ის უკვე პირველი გუნდის სათამაშო ტემპსა და ფიზიკურ კონდიციებს უნდა აკმაყოფილებდეს, რადგან არავინ იცის, როდის მოუწევს ძირითად გუნდში თამაში.

***– 18-წლამდე კლერმონში რამდენი ბავშვია და სეზონის განმავლობაში რამდენი თამაში გიწევთ?***

– გუნდში 40 ბავშვი გვყავს და ასაკობრივ ჩემპიონატს ვთამაშობთ. ჯერ არის რეგიონული ფლეი ოფი, საიდანაც საუკეთესოები ქვეყნის მასშტაბით ჩემპიონატს თამაშობენ. რეგულარულ გათამაშებაში 18 თამაშია, რის შემდეგაც 8 საუკეთესო მეოთხედფინალში გადის.

***– დეკემბრიდან კლერმონი ჩელენჯ თასში ჩაერთვება, სადაც მისი ერთ-ერთი მეტოქე შავი ლომია და თბილისში მოუწევს ჩამოსვლა. კლუბში როგორ შეხვდნენ ამ ინფორმაციას?***

– ასეთი გუნდი თუ არსებობდა, არც იცოდნენ და მერე დაიწყეს ინფორმაციის მოძიება. როგორც შევატყვე, ძალიან გახარებულები არიან, აინტერესებთ საქართველოს ნახვა. ვისურვებდი, რომ ამ თამაშს მეც დავესწრო. ის, რომ ქართული ფრენჩაიზი ჩელენჯ თასზე ითამაშებს, ჩემი აზრით, ძალიან მაგარი მოვლენაა. მოთამაშე რომ ვიყავი, სულ ვნატრობდით ასეთი შესაძლებლობა გვქონოდა. რაღაც ეტაპზე ყველანი ვხვდებოდით, რომ მეტი განვითარებისთვის მსგავს ტურნირში ჩართვა აუცილებელი იყო. მოხარული ვარ, ეს დღე რომ დადგა. ვფიქრობ, რომ ბიჭები მზად არიან ამ დონეზე სათამაშოდ. ისინი მოტივირებულები არიან და ზუსტად ვიცი, საქართველოში თამაში ნებისმიერ გუნდს გაუჭირდება. შეიძლება სიურპრიზებიც იყოს.

***– ფრანგული კლუბები ჩელენჯ თასზე ხშირად უახლოესი რეზერვით თამაშობენ და არა პირველი შემადგენლობით. წელს კლერმონის შემთხვევაში როგორ იქნება?***

– ეს მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილებაზე იქნება დამოკიდებული. არ მგონია, სუსტი გუნდი გამოუშვან. ასეთ რისკზე თუ მიდიხარ, იმის ალბათობასაც უშვებ, რომ შეიძლება თამაში წააგო, კლერმონს კი, ჩელენჯ თასის მოგება ენდომება. ტიტულის მოგება გუნდს კრავს და როდესაც საკუთარი პოზიციების დაბრუნების ამბიცია გაქვს, ყველა თამაშში მოგებაზე უნდა იფიქრო. ამიტომ ვფიქრობ, რომ საქართველოში სუსტ გუნდს არ გამოუშვებენ.

***– ამ ეტაპზე რამდენი ქართველი მორაგბეა კლერმონში და კიდევ თუ აპირებთ ქართველების დამატებას?***

– ესპუარებში ხუთი და ჩემთან ორი ქართველი მორაგბეა. ყველანი მაგარი ბიჭები არიან. ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ფრანგულ კლუბებში მიღებული გამოცდილება საბოლოოდ ქართულ რაგბს ადგება. კლერმონში ქართველი მორაგბეები ჩემამდეც მრავლად იყვნენ და ამას ჩემს ფაქტორს ვერ მივაწერ. საფრანგეთში ქართველ მორაგბეებს იცნობენ და პატივს სცემენ. თუ მე მექნება შესაძლებლობა, რომ ვინმეს გზა გავუხსნა, ამას დიდი სიამოვნებით გავაკეთებ.

# საქართველოს ნაკრები სრული შემადგენლობით ემზადება

საქართველოს საფეხბურთო ნაკრები ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩებისთვის მზადებას უკვე სრული შემადგენლობით განაგრძობს.

ვილი სანიოლის გუნდმა თბილისში, მიხეილ მესხის სახელობის სტადიონის სათადარიგო მოედანზე ივარჯიშა. 5 სექტემბერს საწვრთნელ შეკრებას ის შვიდი ლეგიონერი შეუერთდა, რომლებმაც საკლუბო მატჩები კვირას გამართეს.

შეგახსენებთ, 8 სექტემბერს საქართველოს ნაკრები შინ ესპანეთს დაუხვდება, ხოლო 12 სექტემბერს ნორვეგიას ესტუმრება.

მოახლოებულ მატჩებთან დაკავშირებით საქართველოს ნაკრების ნახევარმცველმა, ოთარ კიტეიშვილმა ისაუბრა:

– რთული მატჩები გველოდება. ჯგუფის ორ გამორჩეულ გუნდს ვეთამაშებით. სასიამოვნოა, რომ ესპანეთს დინამო არენაზე დავუხვდებით, სადაც გულშემატკივრისგან ყოველთვის განსხვავებული ემოცია იგრძნობა. მოუთმენლად ველი ამ შეხვედრას. გუნდში ძალიან კარგი განწყობაა. სრული შემადგენლობით შევიკრიბეთ და იმედი მაქვს, რომ ქართველი გულშემატკივრის დახმარებით სასურველ შედეგს მივაღწევთ.

**მოახლოებულ მატჩთან დაკავშირებით კომენტარი „ფურია როხას" მეკარემ, კეპა არიზაბალაგამაც გააკეთა:**

– საქართველოს ნაკრებთან სტუმრად თამაში რთული იქნება. თუმცა, ჩვენ ამისთვის ვემზადებით. ეს არის გუნდი, რომელიც ტაქტიკურად იტალიას ჰგავს. თამაშობს სამი ცენტრალური და ორი ფლანგის მცველით, ჰყავს ისეთი განსაკუთრებული ფეხბურთელი, როგორიც კვარაცხელიაა, ხოლო მამარდაშვილი ვალენსიაში დიდებულად თამაშობს და ის საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ფიგურაა.



**საქართველოს ნაკრები კი ასეთი შემადგენლობით ემზადება:**

**მეკარე:** გიორგი ლორია (დინამო, თბ), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

**დაცვა:** გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), სოლომონ კვერკველია (ალ ახდუდი, საუდის არაბეთი), ირაკლი აზაროვი, გიორგი გოჩოლეიშვილი (ორივე შახტარი, უკრაინა), ვლადიმერ მამუჩაშვილი (დინამო ბთ), სანდრო კალანდაძე (დინამო თბ), საბა საზონოვი (ტორინო, იტალია);

**ნახევარდაცვა:** ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), საბა ლობჟანიძე (ატლანტა, აშშ), გიორგი ჩაკვეტაძე (უოტფორდი, ინგლისი), გიორგი ქოჩორაშვილი (ლევანტე, ესპანეთი), ანზორ მექვაბიშვილი (დინამო თბ), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), გიორგი აბურჯანია (ჰატაი, თურქეთი); გიორგი წიტაიშვილი (დინამო ბთ), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

**თავდასხმა:** გიორგი მიქაუტაძე (აიაქსი, ნიდერლანდები), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია);

ამ დროისთვის, a ჯგუფის ლიდერი შოტლანდიაა, რომელმაც ოთხივე მატჩი მოიგო და 12 ქულა აქვს; საქართველოს ნაკრებს 3 მატჩი აქვს ჩატარებული და 4 ქულით მეორე ადგილი უკავია; ამდენივე ქულა აქვს ნორვეგიასაც, მაგრამ 4 თამაშში; ესპანეთი 3 ქულით (2 მატჩი) მეოთხეა; ბოლო ადგილზე კი, უქულო კვიპროსია.

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# გავის რეკორდის მოხსნა შეუძლია



ესპანური მედიის ინფორმაცით, „გოლდენ ბოის" 2023-ის ჯილდოსთვის სამი ბარსელონელი იბრძოლებს. 100 ნომინატს შორის ბარსადან ლამინ იამალი, ალეხანდრო ბალდე და გავი არიან წარდგენილნი.

წინა გამარჯვებული სწორედ გავია, მანამდე კი „ოქროს ბიჭუნად" პედრი დასახელდა. შესაძლოა, ბარსელონას ფეხბურთელი ამ ჯილდოს გამარჯვებული ზედიზედ მესამედ გახდეს. ამ მხრივ, კატალონიური გრანდი უკვე რეკორდსმენია, რადგან „გოლდენ ბოი" სხვა კლუბიდან ზედიზედ ორჯერ არავინ გამხდარა.

ალსანიშნავია ისიც, რომ ეს პრიზი ორჯერ არც რომელიმე ფეხბურთელს მოუგია, ახლა კი, ამის შანსი გავის აქვს, ლამინ იამალი კი, შესაძლოა, „ოქროს ბიჭუნას" ყველაზე ახალგაზრდა (16 წლის) გამარჯვებული გახდეს.

ეს ჯილდო ბარსადან პედრისა და გავის გარდა, ლეო მესისაც (2005) მოუგია, ხოლო იმ ფეხბურთელებს შორის, რომლებიც ჯილდოს სხვა კლუბებში დაეუფლნენ, შემდეგ კი ბარსელონაში ითამაშეს, სესკ ფაბრეგასი (2006), სერხიო აგუერო (2007) და ჟოაუ ფელიში (2019) არიან.

„ოქროს ბიჭუნას" იტალიური გამოცემა ტუტოსპორტი 2003 წლიდან ატარებს. ჯილდო ევროპული ქვეყნის უმაღლეს ლიგაში მოთამაშე საუკეთესო 21 წლამდე ფეხბურთელს გადაეცემა. მისი პირველი გამარჯვებული კი, ნიდერლანდელი რაფაელ ვან დერ ვაართია.

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად:** 1. სოფელი ხევსურეთში; 2. საბჭოთა ბელადი; 3. უბანი სოხუმში; 4. რაიონი თბილისში; 8. ძველად სურსათ-სანოვაგის შეგროვება ეკლესია-მონასტრებისთვის; 9. ძვირფასი ქვა; 11. ნიდერლანდელი ზღვაოსანი, ავსტრალიის ერთ-ერთი აღმომჩენი და მკვლევარი; 12. ცხენოსნური შეჯიბრი; 14. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 16. რაიონული ცენტრი აზერბაიჯანში; 17. რაიმეს ნაირსახეობა, სახეცვლილება; 19. შტატი აშშ-ში; 21. სპილენძის ჩასაბერი სასიგნალო, მუსიკალური ინსტრუმენტი.

**თარაზულად:** 5. დაბალი ბუფეტი სასადილო ჭურჭლისთვის; 6. საავტომობილო შიგაწვის ძრავების გერმანელი კონსტრუქტორი; 7. კლდეში ნაკვეთი ქალაქი შიდა ქართლში; 10. სურნელოვანი პარფიუმერული სითხე; 13. შავი და თეთრი შრეებისგან შემდგარი მინერალი, აქატის ნაირსახეობა; 15. მამათა მონასტრის წინამძღვარი; 18. დესერტი, ტკბილეული; 20. მძაფრი დაცინვა ლიტერატურასა და ხელოვნებაში; 22. ხაშურის ძველი სახელწოდება; 23. მარკ ტვენის ნამდვილი გვარი; 24. მჟავაგამძლე სამშენებლო მინერალი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*



## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ხახული; 2. ჩედერი; 3. რომბი; 5. თუჯი; 6. ლავაში; 8. ოკრიბა; 11. სტიპიჩეზი; 13. ბრეგაძე; 14. დეკრეტი; 15. ტიციანი; 19. გალო.

**თარაზულად:** 1. ხელვაჩაური; 4. კნეთელი; 7. ხავერდი; 9. ბროკოლი; 10. ისტრი; 12. გლიზმანი; 16. მალაქიტი; 17. ლეკლერერი; 18. ბრაუნინგი; 20. ზოფხიტო; 21. გედი; 22. სიტროენი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კატარი; 2. ოროველა; 3. კადილაკი; 4. მინისტრი; 8. საქსაფონი; 9. ტრიპიტაკა; 11. ბაგრატი; 12. წავი; 14. ალტი; 16. ღრმაღელე; 17. ტაკელაჟი; 19. ბოლიდი; 21. სელბი.

**თარაზულად:** 5. ლანგუსტი; 6. მონპელიე; 7. ფარვატერი; 10. სამაია; 13. პრიორი; 15. ღვარძლი; 18. არგონი; 20. ალკალა; 22. ფილისტერი; 23. ალავერდი; 24. აბორდაჟი.

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

7 სექტემბერი


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.6268 |
| ევრო | 2.8209 |
| დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი | 3.2977 |
| 100 რუსული რუბლი | 2.6813 |

## ამინდის პროგნოზი 7 სექტემბრისათვის




## მბაპე: „პსჟ-ს ჩემპიონთა ლიგის მოგება შეუძლია“



კილიან მბაპემ ჩემპიონთა ლიგაზე ისაუბრა და თქვა, რომ მის გუნდს შეუძლია ამ ტიტულის მოგება, თუ ისინი შეძლებენ სტაბილურად თამაშს და იღბალიც მათ მხარეს იქნება:

– პსჟ-ში ბევრი ძლიერი ფეხბურთელი თამაშობს და მათ შეუძლიათ, რომ გუნდი სეზონის ბოლოს ტრიუმფატორი გახადონ, თუმცა, ეს ბევრ რამეზე იქნება დამოკიდებული. მინდა, რომ პსჟ-სთან ერთად ჩემპიონთა ლიგა მოვიგო და მჯერა, რომ ეს რეალურია.

## იურგენ კლოპი: „ლივერპულმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო“



ლივერპულის მთავარმა მწვრთნელმა იურგენ კლოპმა განაცხადა, რომ მისმა გუნდმა სეზონი ძალიან კარგად დაიწყო და მათ ასე უნდა გააგრძელონ, თუ სურთ ტიტულების მოგება. კლოპის აზრით, წელს ლივერპული უფრო ძლიერი იქნება, ვიდრე შარშან:

– მინდა, რომ ასე გავაგრძელოთ, რადგან სტარტი ძალიან კარგი იყო და ჩვენი გულშემატკივარი ამას იმსახურებს. ლივერპული წელს მხოლოდ პირველი ადგილისთვის იბრძოლებს.

## ვან დეიკი: „ვან გაალის სიტყვებს არ ვეთანხმები“



ლუი ვან გაალმა რამდენიმე დღის წინ თქვა, რომ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონობა დაგეგმილი იყო და ყველაფერი გაკეთდა იმისთვის, რომ მათ ეს ტურნირი მოეგოთ. ჰოლანდიის ნაკრების ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა განაცხადა, რომ ის ვან გაალს არ ეთანხმება:

– ვან გაალს შეუძლია ილაპარაკოს და ეს მისი აზრია, მაგრამ შემიძლია ვთქვა, რომ მას არ ვეთანხმები და ნაკრების წევრების დიდი ნაწილი იგივე აზრზეა. არგენტინამ მსოფლიო ჩემპიონობა დაიმსახურა.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*

## ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ახალი პროექტი — მთის ბიბლიოთეკა დაიწყო



საქართველოს ეროვნულმა ბიბლიოთეკამ ახალი პროექტი – მთის ბიბლიოთეკა დაიწყო.

გიორგი კეკელიძე, ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

– საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ახალი პროექტი მთის ბიბლიოთეკა დაიწყო, რომელსაც „მთის ამბებთან“ და „გალფ ჯორჯიასთან“ ერთად ვახორციელებთ.

შატილის სკოლა ეროვნული ბიბლიოთეკის ახალ თანამშრომელ ანა ჭინჭარაულთან ერთად წიგნებითა და კომპიუტერული ტექნიკით მოვამარაგეთ. მანამდე, მარგარეტ დაიაურთან თანამშრომლობით, ერთ-ერთ კოშკში მოვაწყვეთ თანამედროვე სამკითხველო.

დიდი მადლობა ეკვილიბრიუმის ყველა შემომწირველს. განსაკუთრებული მადლობა უახლესი პლანშეტებისთვის იტალიაში მცხოვრებ ინგა სიხარულიძეს, რომლებიც შატილის სკოლის ყველა მოსწავლისთვისაა განკუთვნილი.

## ნინი შერმადინმა დუბაის საერთაშორისო მოდის კვირეულზე იმღერა



ქართველმა მომღერალმა ნინი შერმადინმა დუბაის საერთაშორისო მოდის კვირეულზე იმღერა. მიწვევა მან სამოდელო სააგენტო „კატრინის“ ხელმძღვანელისგან ეკა მგალობლიშვილისგან მიიღო.

ეკა მგალობლიშვილი დუბაის საერთაშორისო მოდის კვირეულზე საქართველოს წარადგენდა:

– მადლობა გვინდა გადავუხდოთ უნიჭიერეს მომღერალ ნინი შერმადინს, რომელმაც საერთაშორისო მოდის კვირეულზე დუბაიში გახსნა და დახურა ბრენდის „ანასტასია“ ჩვენება. ნინის ამავე ბრენდის კაბა ეცვა. ჩვენებაში მონაწილეობა სამოდელო სააგენტო „კატრინის“ პროფესიონალმა მოდელებმა მიიღეს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## იუმორი

●●●

ორი ახლადდაქორწინებული ნაცნობი შეხვდა ერთმანეთს. ერთი მეორეს ეუბნება:

– იცი, ჩემს ცოლთან ქორწინებამდე არ ვწოლილვარ. და შენ?

– რას მეკითხები! საიდან უნდა მახსოვდეს. ის მაინც მითხარი, რა ჰქვია შენს ცოლს?

●●●

მეგობარი მეგობარს ეკითხება:

– ცოლს ღალატობ?

– აბა, სხვას ვის უნდა ვუღალატო?

●●●

ერთი ქალი მეორეს ეკითხება:

– როგორი გამხდარი ხარ და რას ჭამ?

– იმავეს, რასაც შენ, მხოლოდ ნახევარი ქვაბით ნაკლებს...

●●●

კაცი სექსოპათოლოგს ეუბნება:

– ცოლთან სქესობრივ ურთიერთობას ველარ ვამყარებ.

– და ბოლოს როდის იწექით ცოლთან?

– აღარც კი მახსოვს, დაიცადე, ცოლს დავურეკავ და ვკითხავ.

– ალო! ლამარა, ბოლოს როდის გვქონდა სექსი?

– რომელი ხარ?

●●●

მასწავლებელი კითხულობს:

– რვას თუ შუაზე გავყოფთ, რამდენი გამოვა? აბა, გიგი, მიპასუხე.

– ვერტიკალურად ორი სამიანი, ხოლო ჰორიზონტალურად ორი ნოლიანი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## დემნა: „ჩემთვის საჯარო ფოტოს გადაღება იმდენად სტრესულია, რამდენადაც სტომატოლოგთან ვიზიტი“



ქართველი დიზაინერი დემნა ამაყობს, რომ სელებრითობა – ანუ პოპულარობის მანია მის ხასიათში არ ზის და ამიტომაც დარწმუნებულია, რომ ვერასდროს გახდება საჯარო ფიგურა:

– თავს შემოქმედებით აქტივისტად ვხედავ. ძალიან პირდაპირი ადამიანი ვარ, ზოგჯერ ზედმეტად პირდაპირიც. ჩემთვის საჯარო ფოტოს გადაღება იმდენად სტრესულია, რამდენადაც სტომატოლოგთან ვიზიტი. ამიტომაც სელებრითობა არ ზის ჩემს ხასიათში. ვერასდროს გავხდები საჯარო ფიგურა, რომელიც ერთი ღონისძიებიდან მეორე ღონისძიებაზე მიდის.

***– რა არის თქვენთვის ბედნიერება?***

– ბედნიერება მარტივ რაღაცებშია. შაბათი საღამო, პიცა, ნეტფლიქსის სულელური შოუ ლოიკთან და ჩვენს ძაღლებთან ერთად, ეს არის ჩემი ბედნიერება.

***– რამდენად მნიშვნელოვანია თქვენთვის მოდა?***

– მოდა არ მაღელვებს, მაგრამ ტანსაცმელი ძალიან მიყვარს.

***– როგორ არჩევთ მოდელებს?***

– ხშირად მოდელებად ისეთ გოგოებსა და ბიჭებს ვირჩევ, რომლებსაც მოდა საერთოდ არ აინტერესებთ. ზოგიერთ მათგანს საცხოვრებელი ადგილიც არ აქვს და ტანსაცმლის მორგებაზე მარიხუანით მოდის.

***– ხშირად ყოფილხართ ბულინგისა და დაცინვის ობიექტი?***

– მთელი ჩემი ცხოვრება თავად ვიყავი ბულინგის სამიზნე, მაგრამ მე თვითონ არასდროს არავინ „დამიტროლავს“. მე არავის „ტროლვა“ მსიამოვნებს, არც ის მიყვარს, როცა „მტროლავენ“.

## ოთო ნემსაძე ქვათაცვენაში მოჰყვა



**მომღერალი ოთო ნემსაძე რიკოთზე ქვათაცვენაში მოჰყვა:**

– მინდა, რომ ყველა გაგაფრთხილოთ! რიკოთზე ქვათაცვენაში მოვყევი. გადავრჩი, უბრალოდ მანქანა გავაფუჭე, იმხელა ლოდის ნატეხი მოხვდა საბურავს, რომ რკინის დისკი 7 სანტიმეტრით მაინც გაილუნა, მანქანას არ ვჩივი, უბრალოდ, ძალიან ყურადღებით იყავით.

დავრეკე, სადაც საჭირო იყო და ძალიან მალე მივიდნენ ადგილზე ბიჭები სანახავად.

ძალიან ყურადღებით იყავით. არ ვიცი, რამდენად ბევრი ჩამოვარდა, ჩემს შემთხვევაში, ერთი დიდი ნატეხი და ბევრი წვრილი ქვა იყო.

## მუსკომედიის მსახიობები ნიუ იორკში პირველად ჩავლენ



მუსკომედიის მსახიობები ამერიკაში – ნიუ იორკში პირველად ჩავლენ და ემიგრანტებისთვის სპეციალურ საღამოებს გამართავენ.

„ალალ მე, ალალ შენ“ – ასე ჰქვია ღონისძიებას, რომელიც 10 და 17 სექტემბერს მანჰეტენში იქნება წარმოდგენილი.

## ანსამბლ „სულიკოს“ ლიონის აეროპორტში ხანჯლები ჩამოართვეს



ანსამბლი „სულიკო“ გასტროლზე ლიონში ჩაფრინდა, სადაც აეროპორტში ხანჯლები ჩამოართვეს.

**ვანიკო გალუაშვილი, „ანსამბლ „სულიკოს“ წევრი:**

– ესპანეთში დიდი ბანდა დაიჭირეს ქართველი კრიმინალების, ცოტა ხნის უკან იტალიაში დაიჭირეს დიდი ჯგუფი, მანამდე საბერძნეთში. შესანიშნავად ცდილობთ წარმოაჩინოთ საქართველო, თქვე გათახსირებულებო!

ლიონში ჩავფრინდით „სულიკო“ გასტროლზე, აეროპორტში ხანჯლები ჩამოგვართვეს, რამდენიმე საათი გვაყურყუტეს აეროპორტში, უამრავი კითხვა, ჩემოდნების ყველა წვრილმანით შემოწმება, თან ჩვენი მიმწვევი ლიონის მერიაა, ამასობაში მოვიდნენ ლიონის მერის თანაშემწე და ჩვენი პროდიუსერი და გამოვედით, ბოდიში მოგვიხადა მერის თანაშემწემ და თან აგვიხსნა, რომ სულ ცოტა ხნის უკან დაიჭირეს ქართველებისა და ადგილობრივების ერთობლივი დიდი ჯგუფი კრიმინალების. თან დასძინა, რომ ლიონის ციხეში, სამწუხაროდ, 420 ქართველი იხდის სასჯელს.

დიდხანს უხსნიდნენ პოლიციელებსა და აეროპორტის დაცვას ჩვენზე, რომ ესენი კარგი ქართველები არიან, მომღერლები, ოპერის სოლისტები და კარგი ადამიანები, რომლებიც კონცერტს ჩაატარებენ ლიონშიო.

## ოზურგეთში სანაპიროს ქუჩას ანზორ ერქომაიშვილის სახელი მიენიჭა



ლოტბარ ანზორ ერქომაიშვილის მშობლიურ ოზურგეთში სანაპიროს ქუჩას მისი სახელი მიენიჭა. ინფორმაცია მომღერალმა მიშო ჯავახიშვილმა გაავრცელა.

ანზორ ერქომაიშვილმა მთელი თავისი ცხოვრება ქართული ხალხური სიმღერების კვლევასა და შესწავლას შეალია. მან დააარსა ანსამბლი „მართვე“, რომელმაც არაერთი უნიჭიერესი თაობა აღზარდა:

– ჩვენმა სიმღერებმა საუკუნეებს გაუძლო, იგი ტრადიციულად საუკუნიდან საუკუნეში გადაეცემოდა მომავალ თაობებს. ეს ტრადიცია ახლაც გრძელდება, ჩვენს ბავშვებს ვასწავლით ხალხურ სიმღერას. მთელ საქართველოში მღერიან ბავშვები. სიმღერა მაშინ კვდება, როცა მას ახალგაზრდობა ივიწყებს. ჩვენ მოვახერხეთ და ახალგაზრდობა ავამღერეთ. ამჟამად გვყავს დიდი არმია პატარა მომღერლებისა, რომლებიც 21-ე საუკუნეში აგრძელებენ ჩვენს საუკეთესო სასიმღერო ტრადიციებს. ამის ნათელი მაგალითია „მართვე“, – ამბობდა ანზორ ერქომაიშვილი.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. ფრანგული პური; 2. ქალების საცხოვრებელი, განცალკევებული სადგომი მუსლიმანურ სახლებში; 3. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 5. ნავსადგური საქართველოში; 6. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. მონასტერი სამაჩაბლოში; 11. ოლქი ირანში; 13. ქართული მინერალური წყალი; 14. მაროკოს ქალაქ ფესში განთავსებული მსოფლიოში ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი; 15. ბერძნული ცეკვა; 19. მარადმწვანე ხვიარა, მცოცავი მცენარე.

**თარაზულად:** 1. გერმანიის პარლამენტი; 4. უბანი ძველ თბილისში; 7. ფიჭიანი თაფლი; 9. ცხენოსნობის ერთ-ერთი დისციპლინა; 10. ცნობილი ფრანგი კარიკატურისტი; 12. მონასტერი რაჭაში; 16. ასტრიდ ლინდგრენის ნაწარმოებთა პოპულარული პერსონაჟი; 17. პნევმატური მოწყობილობა ჭაბურღილზე წყლის ან ნავთობის ამოსაქაჩად; 18. ჰოლივუდის კინოვარსკვლავი მამაკაცი; 20. წყლის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით გადაადგილების უნარის მქონე წყლის ცხოველთა საერთო სახელწოდება; 21. კოლოს ძველი ქართული სახელწოდება; 22. პოპულარული ირლანდიური ჯინი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

